სექსისტური ენა და პოპულიზმი

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე



მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

სექსისტური ენა
და ჰომოფობია

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე

ავტორი: თინათინ გოგოლაძე

რედაქტორი: თამარ კინწურაშვილი

მონიტორები: სოფო ჩხაიძე, მარიამ ქავთარაძე, სოფო გოგაძე, ლიკა მაჭარაძე, გვანცა სეთურიძე, სალომე ნორაკიძე, ნათია ალავიძე

დიზაინი: მარიამ ცუცქირიძე

გარეკანის ფოტო: SHUTTERSTOCK, valiantsin suprunovich

მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

შესავალი

გენდერის და სექსუალური ორიენტაციის ინსტრუმენტალიზაცია და პოლიტიკური მიზნით გამოყენება ბოლო წლებში განსაკუთრებულ პრობლემად გამოიკვეთა. თუ წინა წლებში ამ თემატიკაზე საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას მეტწილად კრემლისტური და ულტრამემარჯვენე აქტორები ახდენდნენ, ბოლო პერიოდში ამ თემატიკის მეინსტრიმიზაციას საქართველოში ხელისუფლება ცდილობს, რაც მხოლოდ უფლებების წინააღმდეგ მიმართული რიტორიკით არ შემოიფარგლება. ხელისუფლების ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად კანონმდებლობიდან ტერმინი "გენდერი" გაქრა,[1] ხოლო ოჯახური ღირებულებების დაცვის საბაბით მიღებული კანონი ლგბტქ+ თემის წარმომადგენელთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას ისახავს მიზნად.[2]

წინამდებარე კვლევის მიზანი 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე სექსისტური და ჰომოფობიური სიძულვილის ენის და მათი წყაროების, ასევე თავდასხმების სამიზნეების შესწავლა იყო.

ანგარიში წინასაარჩევნო და პოსტ-საარჩევნო პერიოდს (1 ივლისი-30 ნოემბერი) მოიცავს და მხოლოდ საარჩევნო პროცესის მონაწილე პოლიტიკური სუბიექტებით და საარჩევნო თემატიკით არ შემოიფარგლება.

ანგარიშის პირველი ნაწილი სექსისტური სიძულვილის ენისა და ჰომოფობიური შინაარსის დისკრიმინაციის საერთო რაოდენობრივ მონაცემებს მიმოიხილავს. მეორე ნაწილი სექსისტური სიძულვილის ენის რაოდენობრივ მონაცემებთან ერთად, აღნიშნული ნიშნით დისკრიმინაციის თვისებრივ ანალიზს აეთიანებს. კვლევის მესამე ნაწილი ჰომოფობიური ნიშნით დისკრიმინაციის რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს ასახავს.

[1] საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე; https://bit.ly/44T3Bbd
[2] საქართველოს კანონი "ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ" https://bit.ly/44BXFn5

მეთოდოლოგია

კვლევა შერეული მეთოდოლოგიით ხორციელდება და მასში გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი მონაცემები, ასევე თვისებრივი კონტენტ-ანალიზი. წინამდებარე ანგარიში 2024 წლის 1 ივნისიდან 30 ნოემბრამდე პერიოდს მოიცავს.

კვლევის მონაცემების შესაკრებად, მედიის განვითარების ფონდის მონიტორთა ჯგუფის მიერ განხორციელდა მედია მონიტორინგი. საკვლევი ველი მოიცავს ანტიდასავლურ, ანტილიბერალურ, ულტრამემარჯვენე და კონსერვატიულ მედია პლატფორმებს, რომლებიც სექსისტური და ჰომოფობიური გზავნილების გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენენ; ასევე სახელისუფლებო და ოპოზიციურ მედიუმებს.

მედია მონიტორინგისათვის შეირჩა, როგორც ტრადიციული მედია საშუალებები (ტელევიზია, ონლაინ მედია, ბეჭდვითი მედია), ისე სოციალური მედიის სუბიექტები.

დაკვირვების საგანს წარმოადგენდა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და სტერეოტიპიზაციის შემცველი გზავნილების წყაროები, ადრესატები, გამოყენებული ტერმინოლოგია, დარღვევის ტიპები.

სექსისტური სიძულვილის ენის შემცველი დარღვევების ტიპოლოგია განისაზღვრა გენდერბარომეტრის ინდიკატორების მიხედვით, რომლებიც, საექსპერტო ფოკუს-ჯგუფების საფუძველზე შეიმუშავა ორგანიზაციამ „საფარი“[3] . წინამდებარე კვლევაში, მედია მონიტორინგის მიერ გამოვლენილი დარღვევების ტიპოლოგიური კლასიფიცირება განხორციელდა იმ ექვსი ინდიკატორით, რომლებიც წინა კვლევების თანახმად, ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა. ესენია:

1. **ანტიფემინიზმი/მიზოგინია** – ქალებსა და ქალთა უფლებებზე თავდასხმები;
2. **გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვა** – შეურაცხყოფის მიყენება და დაცინვა სხეულის, გარეგნობის, საუბრის მანერის, ჩაცმულობის ნიადაგზე;
3. **გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვა** – ინტელექტუალური უნარების, გამოცდილების, კომპეტენციების დაკნინება;
4. **მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა** – ზნეობრივი ღირებულებების საფუძველზე თავდასხმა;
5. **ეიჯიზმი** – დისკრიმინაცია ასაკის ნიშნით.
6. **გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა** – თავდასხმები ქალის გენდერული როლის, ქცევის, დანიშნულების, საქმიანობის თუ სხვა მახასიათებლის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენების საფუძველზე.

მორალური კრიტერიურემებით გაკიცხვაში ცალკე გამოყოფილია „სლატშეიმინგის“ (slut-shaming) კატეგორია, რაც გულისხმობს ადამიანების, უმეტესად, ქალების და გოგოების კრიტიკას იმის გამო, რომ მათი ქცევა, გარეგნობა თუ ჩაცმულობა არ შეესაბამება სექსუალობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ გენდერულ ნორმებს და წარმოდგენებს. ასეთ ქცევად თუ გარეგნობად მიიჩნევა, მაგალითად, სექსუალური, პროვოკაციული ჩაცმულობა, კონტრაცეპციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა,

[3] გიორგი ურჩუხიშვილი, 2020 სექსისტური სიძულვილის ენის ქართული ინდიკატორები, სამუშაო ფოკუს-ჯგუფების ანგარიში, საფარი https://bit.ly/3RrPjGD

ქორწინებამდელი სექსი ან შემთხვევითი სექსი. სლატშეიმინგი ასევე ხშირად გულისხმობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლის მთლიანად ან ნაწილობრივ დადანაშაულებას მისი ქცევითა თუ ჩაცმულობით ამ ძალადობის პროვოცირებაში. სლატშეიმინგი გამოიყენება ქალების შერცხვენის, სტიგმატიზების მიზნით.

მედია მონიტორინგის სუბიექტების შერჩევა. მედია მონიტორინგის სუბიექტებად შეირჩა, როგორც ტრადიციული (11 მედია საშუალება: 7 ტელევიზია, 2 ბეჭდური და 2 ონლაინ გამოცემა, ისე სოციალური მედია, კერძოდ, ფეისბუქის ანგარიშები (280).

ტელევიზიები: სატელევიზიო რეიტინგებში მოწინავე ტელეარხების თოქ-შოუები – ტვ იმედის „იმედი ლაივი“ და მთავარი არხის „ღამის მთავარი“, რომლებსაც განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკა აქვთ და პოლიტიკური პოლარიზაციის სხვადასხვა პოლუსებს (სახელისუფლებო, ოპოზიცური) წარმოადგენენ, ასევე სახელისუფლებო პოსტვ (გადაცემები, პოსტ ანალიტიკა“; “ლიბერალიზმის ანატომია”), რომელთაც ამავდროულად ანტილიბერალური სარედაქციო პოლიტიკა აქვთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის 2 ტელევიზიის (Postv, Imedi) მონაცემები როგორც ტრადიციულ მედიაში, ასევე სოციალურში გვხვდება. Postv-ის (POSTV - ანალიტიკა;[4] POSTV - ახალი ამბები[5], ლიბერალიზმის ანატომია[6]) და ტელეკომპანია TV Imedi-ის[7] ფეისბუქ ანგარიშები, სადაც ვიდეო კონტენტის გარდა, საინფორმაციო ქარდებიც ქვეყნდებოდა, სოციალური მედიის მონაცემებში ფიგურირებს.

ანტილიბერალური და კრემლისტური სარედაქციო პოლიტიკის ტელევიზიების თოქ-შოუები, რომელთა შერჩევა ამ გამოცემების ანტილიბერალური სარედაქციო პოლიტიკის გამო მოხდა.

ეს პლატფორმებია: კრემლისტურ პარტია „პატრიოტთა ალიანსთან“ დაკავშირებული „ობიექტივი“ (გადაცემა „სტუდია N8“) კონსერვატიულ მოძრაობასთან დაკავშირებული „ალტ-ინფო“ (გადაცემა „ალტ-ანალიტიკა“)[8] და სეზონი ტვ (გადაცემა „დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად“)

გაზეთები: „კვირის პალიტრა“, ანტილიბერალური და ანტიდასავლური სარედაქციო პოლიტიკის გამოცემა „ასავალ-დასავალი“.

ონლაინ გამოცემები: კრემლისტური სარედაქციო პოლიტიკის „საქართველო და მსოფლიო“ (www.geworld.ge). ონლაინ გამოცემების მონიტორინგის სუბიექტები ასევე არის მარშალრესი და ანტიდასავლური სარედაქციო პოლიტიკის გამტარებელი პორტალი “საქართველო უპირველეს ყოვლისა”, რომლის საიტიც 2022 წელს, დამფუძნებელმა ვატო შაქარაშვილმა, ორგანიზაცია “აი იას” დამფუძნებელ გია გაჩეჩილაძესთან, სამთავრობო ექსპერტ და რეჟისორ გოგა ხაინდრავასა და მოძრაობა “ხალხის ძალის” წევრებთან ერთად წარადგინა.

---

[4] https://www.facebook.com/POSTV.Analytics
[5] https://www.facebook.com/POSTV.News
[6] https://www.facebook.com/Postv.LiberalismisAnatomia
[7] https://www.facebook.com/tvimedi
[8] ალტ -ინფო კონსერვატიულმა მოძრაობამ მაუწყებლობა დროებით 27 ოქტომბერს შეაჩერა

გარდა ტრადიციული მედიისა, სოციალურ ქსელებში მონიტორინგის სუბიექტებად შემდეგი აქტორების ფეისბუქ ანგარიშები შეირჩა: [9]

1. ულტრამემარჯვენე, ანტიდასავლური, ანტილიბერალური/კრემლისტური ჯგუფები: ა) ალტ-ინფო/კონსერვატიულ მოძრაობასთან; ბ) პატრიოტთა ალიანსთან; გ) ქართულ მარშთან; დ) ქართულ იდეასთან ე) პრიმაკოვის რუსულ-ქართულ ცენტრთან, ა) მსოფლიო საოჯახო კონგრესის საქართველოს წარმომადგენელ ლევან ვასაძესთან და სხვა აქტორებთან დაკავშირებული ანგარიშები.
2. რელიგიური ჯგუფები: ცალკეული სასულიერო პირების ფეისბუქ გვერდები და ინდივიდუალური ანგარიშები, რელიგიური ფეისბუქ გვერდები.
3. სხვადასხვა ანტილიბერალური/კონსერვატიული პლატფორმები.
4. ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანგარიშები.
5. ოპოზიციასთან დაკავშირებული ანგარიშები.

მონიტორინგის სუბიექტი ფეისბუქ ანგარიშების სრული სია, რომელიც პერიოდულად ახლდება, ხელმისაწვდომია აქ.

[9] https://bit.ly/3Nruf11

მთავარი მიგნებები

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე (1 ივლისი - 30 ნოემბერი) სექსისტური ენის და ჰომოფობიის მედია მონიტორინგის მონაცემების ანალიზისას შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- თუ წინა წლებში როგორც გენდერის, ასევე სექსუალური ორიენტაციის თემატიკაზე საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას მეტწილად კრემლისტური და ულტრამემარჯვენე აქტორები ახდენდნენ, ბოლო პერიოდში ამ თემატიკის მეინსტრიმიზაციას საქართველოში ხელისუფლება ცდილობს, რაც უფლებების წინააღმდეგ მიმართულ რიტორიკასთან ერთად უფლებების შემლახავი და ანტიდემოკრატიული კანონმდებლობის მიღებაში გამოიხატა.
- დისკრიმინაციული განცხადებების/პოსტების ნახევარზე მეტი ჰომოფობიას (53.8%), ხოლო 46.2% სექსისტურ სიძულვილის ენას შეიცავდა;
- სექსისტური და ჰომოფობიურ ხასიათის 1617 კომენტარი/პოსტი მეტწილად (1110) სოციალურ მედიაში ვრცელდებოდა.
- სოციალურ მედიაში მცირე განსხვავება იყო გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და ჰომოფობიური შინაარსის განცხადებებს შორის, ხოლო ტრადიციულ მედიაში ჰომოფობიური ნიშნით დისკრიმინაცია ჭარბობდა.

სექსისტური სიძულვილის ენა

- სექსისტური სიძულვილის ენა სოციალურ მედიაში ყველაზე ხშირად ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანონიმური ფეისბუქ ანგარიშებით ვრცელდებოდა, რომელსაც სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მატარებელი მედიების ფეისბუქ ანგარიშები მოსდევს. აღნიშნული შინაარსის პოსტები არჩევნებამდე მმართველი პარტიის ოპონენტების სხავადასხვა გზით დისკრიმინაციას, ხოლო არჩევნების შემდეგ საპროტესტო აქციების დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად.

- დარღვევის ტიპოლოგიის 6 კატეგორიიდან, ყველაზე ხშირად, მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა, ანტიფემინიზმი/ მიზოგინია და გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფის ტენდენცია გამოიკვეთა.

- სოციალურ მედიაში ქალების წინააღმდეგ მიზოგინური კამპანიებისთვის ხშირად პროგრამულად დამუშავებული ვიზუალური მასალა გამოიყენებოდა, პოლიტიკოსები, სამოქალაქო აქტივისტები და ჟურნალისტები სამიზნე მათი პოლიტიკური პოზიციისა და სამოქლაქო პროტესტის გამო ხდებოდნენ.

- პოლიტიკური პარტიებიდან სექსისტური ენის წყარო ყველაზე ხშირად "ალტ-ინფო კონსერვატიული მოძრაობის" წევრები იყვნენ, თუმცა სახელისუფლებო პარტია"ქართული ოცნებისა" და მისი სატელიტი "ხალხის ძალის" მიერ გაკეთებული განცხადებების ჯამი გვიჩვენებს, რომ კრემლისტური და სახელისუფლებო პარტიების მონაცემები თითქმის თანაბარია.

- სექსისტური სიძულვილის ენის ადრესატები ყველაზე ხშირად ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები იყვნენ. წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანონიმური ანგარიშების მიერ ოპოზიციონერი ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ გამოქვეყნებული დისკრიმინაციული შინაარსის პოსტები საგრძნობლად აღემატებოდა “ქართული ოცნების” წევრების მიმართ გამოქვეყნებულ ანალოგიურ შინაარსს.

- წინასაარჩევნო პერიოდისგან განსხვავებით, არჩევნების შემდეგ მეტად გააქტიურდა თავდასხმები იმ პოლიტიკოსებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებზე, რომლებიც არჩევნებზე არსებულ დარღვევებზე აკეთებდნენ განცხადებებს. ასევე არჩევნების მოახლოებასთან ერთად საგრძლობლად გაიზარდა კრიტიკული მედიის ქალ ჟურნალისტებზე გენდერული ნიშნით თავდასხმები.

- თუ წინა წლებში ქალ პოლიტიკოსებს და სამოქალაქო აქტივისტებს ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში და ანტილიბერალური, ულტრამემარჯვენე, კონსერვატიული აქტორები ადანაშაულებდნენ და მათ დასავლური კონსპირაციის აგენტებად განიხილავდნენ, ამჯერად მსგავსი ბრალდებების წყარო უმეტესწილად ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანონიმური ანგარიშები იყვენენ; რიგ შემთხვევებში სახელისუფლებო ანგარიშების მიერ, ერთი და იგივე შინაასის მიზოგინიური პოსტები ორგანიზებულად ვრცელდებოდა.

ჰომოფობია

მონიტორინგის პერიოდში ტრადიციულ და სოციალურ მედიაში დაფიქსირებული 870 ჰომოფობიური კომენტარიდან ყველაზე მეტი - 514 სოციალურ მედიაზე მოდის;

- ჰომოფობიური შინაარსის წყაროებში სახელისუფლებო მედიების სოციალური ანგარიშების აქტივობა სექსისტურთან შედარებით უფრო მაღალია. ამ კატეგორიაში სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის Postv-სა და TV Imedi-ის სოციალური მედიის გვერდებიც მოხვდა, სადაც უმეტესწილად ლგბტქი+ თემატიკის საფრთხის კონტექტში ჭარბი გაშუქებისა და პირადი ცხოვრების პოლიტიკურ მიზნით ინსტრუმენტალიზაციის მაგალითებს ვხვდებით.

- ლგბტქი+ თემატიკის ქართულ კონტექსტთან და კანონმდებლობასთან შეუსაბამო გაშუქება, ერთი მხრივ, ადგილობრივი პრობლემებიდან აქცენტის სხვა საკითხებზე გადატანას ისახავდა მიზნად, მეორე მხრივ, ანტიდასავლურ კონტექსტში იდენტობის დაკარგვის საფრთხის კულტივირებას ემსახურებოდა.

- წინასაარჩევნო კონტექსტში პროსახელისულფებო ანგარიშები პოლიტიკური პარტიების წარმომდგენლების და კანდიდატების დისკრედიტაციას ლგბტქი+ თემთან დაკავშირებით, კანდიდატების დამუშავებული ფოტოების, გაყალბებული ვიზუალის და ხელოვნური ინტელექტით გენერირებული მასალების გავრცელებით ცდილობდნენ.

- მმართველი პარტია “ქართული ოცნება” ჰომოფობიურ რიტორიკას წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილადაც იყენებდა და ე.წ. “გეი პროპაგანდის” აკრძალვის მიზნით არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობით გამარჯვების აუცილებლობაზე აპელირებდა.

- არჩევნების შემდეგ სახელისუფლებო სარდაქციო პოლიტიკის მქონე TV Imedi როგორც ე.წ. “გეი პროპაგანდის” ამკრძალავი, ასევე არასამთავრობორ ორგანიზაციების შემზღუდავი ანტიდემოკრატიული კანონის მიმართ დასავლური ინსტიტუტების კრიტიკას სუვერენულ საკითხებში ჩარევად, “ქართულ ოცნებაზე” ზეწოლად და ტრადიციული ღირებულებების დათმობის მცდელობად აფასებდა.

- წინასაარჩევნო კონტექსტში, პროსახელისულფებო ანგარიშები, პოლიტიკური პარტიებისა და მათი წარმომდგენლების და კანდიდატების თემთან დაკავშირების გზით, მათ დისკრედიტაციას ცდილობდნენ. არჩევნებამდე პროდასავლური კურსის და ევროინტეგრაციის მხარდამჭერი აქციების, ხოლო არჩევნების შემდეგ უწყვეტი აქციების ორგანიზების თემთან დაკავშირება ამ აქციების მოთხოვნებისა და მიზნების არსაწორად რეპრეზენტაციას ისახავდა მიზად. პოლიტიკური საკითხებიდან აქცენტის უფლებრივ საკითხებზე გადატანა, მიზანმიმართული დეზინფორმაციის გავრცელებაშიც გამოვლინდა, როდესაც გაყალბებული ვიზუალითა და მანიპულაციით პროტესტის ლგბტქ+ თემთან დაკავშირება ხდებოდა.

- სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიების ფეისბუქ გვერდებზე გამოიკვეთა ტენდენცია, როდესაც საქართველოში დემოკრატიის უკუსვლაზე ევროპელი პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული განხადებების საპასუხოდ მათი პირადი ცხოვრების ინსტრუმენტალიზაცია ხდებოდა.

- პოლიტიკური პარტიებიდან ჰომოფობიური შინაარსის განცხადებებს ყველაზე ხშირად, “ალტ-ინფო კონსერვატიული მოძრაობის” წევრები აკეთებდნენ, რასაც “ქართული ოცნების” წევრები და ამ პარტიასთან დაკავშირებული “ხალხის ძალის” წარმომადგენლები მოსდევს;

სარჩევი

1. სექსისტური სიძულვილის ენა/გენდერული სტერეოტიპიზაცია და ჰომოფობია 11
1.1 ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები.....11

2. სექსისტური სიძულვილის ენა და გენდერული სტერეოტიპიზაცია 13
2.1 სექსისტური სიძულვილის ენის ტიპოლოგია 13
2.2 სექსისტური სიძულვილის ენის წყაროები.....13
2.3 სესისტური სიძულვილის ენის ადრესატები.....16
2.4 მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა.....19
2.5 ანტიფემინიზმი / მიზოგინია 24
2.6 გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვა.....27
2.7 გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით დაცინვა.....31
2.8 გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა.....34
2.9 ეიჯიზმი.....37

3. ჰომოფობია 38
3.1 ჰომოფობიური გზავნილების წყაროები.....38
3.2 ჰომოფობიური გზავნილები.....41
3.3 იდენტობის საკითხების საფრთხის კონტესტში გაშუქება / ლგბტქი+ არარელევანტური - ჭარბი გაშუქება.....44
3.4 პოლიტიკური პარტიების, კანდიდატების ლგბტქი+ თემთან დაკავშირება 45
3.5 ანტიდემოკრატიული და უფლებების წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობა და ჰომოფობიური, ანტიდასავლური გზავნილები 47
3.6 ოლიმპიადასათან დაკავშირებული გზავნილები 50
3.7 პირადი ცხოვრების ინსტრუმენტალიზაცია პოლიტიკური მიზნით გამოყენება.....52
3.8 ძალადობის წახალისება - ჰომოსექსუალობის ცოდვად /ავადმყოფობად / გარყვნილებად შეფასება...53
3.9 საპროტესტო აქციების ლგბტქი+ თემთან დაკავშირება 55

დიაგრამები

დიაგრამა 1. სექსისტური სიძულვილის ენისა და ჰომოფობიის ხვედრითი წილი (სოციალური და ტრადიციული მედია)
დიაგრამა 2. სექსისტური სიძულვილის ენა და ჰომოფობია ტრადიციულ და სოციალურ მედიაში
დიაგრამა 3. სექსისტური სიძულვილის ენის და გენდერულ იდენტობასათან დაკავშირებული გზავნილების წყაროები (სოციალური/ ტრადიციული მედია)
დიაგრამა 4. სექსისტური სიძულვილის ენის ტიპოლოგია ტრადიცულ/ სოციალურ მედიაში
დიაგრამა 5. სექსისტური სიძულვილის ენის წყაროები (სოციალური/ტრადიციული მედია)
დიაგრამა 6. სექსისტური სიძულვილის ენის წყარობი და ტიპოლოგია
დიაგრამა 7. სექსისტური სიძულვილის ენის ადრესატი ქალები ინსტიტუციონალური და სხვა აფილიაციის მიხედვით
დიაგრამა 11. სექსისტური სიძულვილის ენის ადრესატები (ყველაზე ხშირი შემთხვევები)
დიაგრამა 12. ჰომოფობიური გზავნილების წყაროები ტრადიციულ და სოციალურ მედიაში
დიაგრამა 13. ჰომოფობიური გზავნილების წყაროები სოციალურ მედიაში
დიაგრამა 14. ჰომოფობიური გზავნილების წყაროები და ტიპოლოგია ტრადიციულ მედიაში
დიაგრამა 15. ჰომოფობიური გზავნილების წყაროები - პოლიტიკოსები
დიაგრამა 16. ჰომოფობიური გზავნილების წყაროები - მედიები
დიაგრამა 17. ჰომოფობიური გზავნილები სოციალურ მედიაში

1. სექსისტური სიძულვილის ენა / ჰომოფობია

1.1 ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები

წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო პერიოდის ხუთთვიანი (1 ივლისი - 30 ნოემბერი) მონიტორინგის შედეგად ჯამში 1617 დისკრიმინაციული შინაარსის კომენტარი/პოსტი გამოვლინდა, რა დროსაც უმეტესწილად წყარო სოციალური მედია (1110), ხოლო 507 შემთხვევაში - ტრადიციული მედია იყო. მონიტორინგის პერიოდში გამოვლენილი დისკრიმინაციული განცხადებების/პოსტებიის ნახევარზე მეტი ჰომოფობიას (53.8% - 870), ხოლო 46.2% (747) სექსისტურ სიძულვილის ენას შეიცავდა.

დიაგრამა 1. სექსისტური სიძულვილის ენისა და ჰომოფობიის ხვედრითი წილი (სოციალური და ტრადიციული მედია)



სოციალურ მედიაში გამოვლენილი დარღვევებიდან გენდერული ნიშნით დისკრმინაციული პოსტები (596) ჰომოფობიური შინაარსისას (514) მცირედით ჭარბობდა. განსხვავებული ტენდენცია გამოვლინდა ტრადიცულ მედიაში, სადაც ჰომოფობიური განცხადებების რაოდენობა (356) გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებს ორჯერ (151) აღემატებოდა.

დიაგრამა 2. სექსისტური სიძულვილის ენა და ჰომოფობია ტრადიციულ და სოციალურ მედიაში



როგორც ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ჩანს, გამოვლენილი დისკრიმინაციული კომენტარების/პოსტების ნახევარზე მეტ შემთხვევაში წყარო სოციალური მედია (55,9%) იყო, რომელსაც პოლიტიკოსები (18,4%) და ტრადიციული მედია (14 %) მოსდევენ. შედარებით ნაკლები იყო საზოგადოების ცალკეულ წარმომადგენელთა (5,3%) და სასულიერო პირების (4,3%) დისკრიმინაციული შეფასებები და ყველაზე მცირედი (2%) - საზოგადოებრივი ორგანიზაციების.

დიაგრამა 3. სექსისტური სიძულვილის ენის და გენდერულ იდენტობასათან დაკავშირებული გზავნილების წყაროები (სოციალური/ ტრადიციული მედია)



2. სექსისტური სიძულვილის ენა და გენდერული სტერეოტიპიზაცია

2.1 სექსისტური სიძულვილის ენის ტიპოლოგია

მონიტორინგის პერიოდში გამოვლენილი სექსისტური სიძულვის ენის 747 შემთხვევიდან, 596 - სოციალურ მედიაში, ხოლო 151 ტრადიციულში გამოვლინდა. დარღვევის ტიპოლოგიის ექვსივე კატეგორიაში ყველაზე მეტი დარღვევა სოციალურ მედიაში გავრცელდა, გამონაკლისი იყო ეიჯიზმი, რომელიც ტრადიციულ მედიაში (12) მეტად გამოვლინდა. ყველაზე ხშირად თავდასხმას მორალური კრიტერიუმების ნიშნით (სოციალური მედია - 219, ტრადიციული - 59) ვხვდებით, რასაც ანტიფემინიზმი/მიზოგინია (სოციალური მედია - 159, ტრადიციული - 60) და გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფა (სოციალური მედია - 104, ტრადიციული - 7) მოსდევს. გონებრივი შესაძლებლობის ეჭვქვეშ დაყენების შემთხვევებიც სოციალურ მედიაში (96) უფრო მაღალი იყო, ვიდრე ტრადიციულში (8).

დიაგრამა 4. სექსისტური სიძულვილის ენის ტიპოლოგია ტრადიცულ/ სოციალურ მედიაში



2.2 სექსისტური სიძულვილის ენის წყაროები

გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის 747 შემთხვევიდან 596 სოციალურ, ხოლო 151 ტრადიციულ მედიაში გამოვლინდა. სექსისტური სიძულვილის ენის წყაროებში, როგორც სოციალურ (74.4%), ასევე ტრადიციულ მედიაში (11.5%), ყველაზე დიდი წილი (86.1%) სამონიტორინგო მედიაზე მოდის. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა (5.9%) და საზოგადოების (5.0%) წევრების მიერ გაკეთებული დისკრიმინაციული განცხადებების

რაოდენობა თითქმის თანაბარი იყო. სასულიერო პირებზე კი გენდერული ნიშნით დისკრიმინაციული განცხადებების 2.3% მოდის.

დიაგრამა 5. სექსისტური სიძულვილის ენის წყაროები (სოციალური/ტრადიციული მედია)



სოციალურ მედიაში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციული პოსტები/კომენტარები ყველაზე ხშირად ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანონიმური ანგარიშებით ვრცელდებოდა (419). აღნიშნული ანგარიშები ყველაზე ხშირად ქალების გარეგნული მახასიათელბლების (88), მორალური კრიტერიუმებისა (78) და გონებრივი შესაძლებლობების (72) ნიშნით დისკრედიტაციას ახდენდნენ. ამ მხრივ ყველაზე აქტიური ინდივიდუალური ფეისბუქ ანგარიში "მიხეილ განუბჟებელი¨ იყო (124), რომელიც უმეტესწილად ქალ პოლიტიკოსებს, სამოქალაქო აქტივისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მორალური კრიტერიუმებითა (40) და გარეგნული მახასიათებლების ნიშნით (41) ესხმოდა თავს.

სახელისუფლებო ანონიმურ ანგარიშებს, სოციალურ მედიაში სექსისტური სიძულვილის ენით, სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მატარებელი მედიების ფეისბუქ ანგარიშები მოსდევენ, საიდანაც ყველაზე დიდი წილი Postv-ის სოციალური მედიის ანგარიშებზე[10] და ონლაინ გამოცემა publicist.ge-ის გვერდზე მოდის. უნდა აღინიშნოს, რომ Postv-ის რამდენიმე გვერდი აქტიურად აქვეყნებდა პოსტებს (40), რომლებიც ქალ პოლიტიკოსებს, სამოქალაქო აქტივისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებს უმეტესეწილად (25) მორალური კრიტერიუმებით ესხმოდა თავს. პოსტვ-ის სატელევიზიო და სოციალური მედიის ანგარიშების მონიტორინგმა ჯამში 56 სექსისტური შინაარსი გამოავლინა. გარეგნული მახასიათებლებით დაცინვა (21) და ინდივიდუალური თავდასხმა ქალ პოლიტიკოსებზე (16), ჭარბობდა ხელისუფლებასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ ანგარიშ publicist.ge-ზე, რომელმაც ჯამში ქალების მიმართ 57 დისკრიმინაციული შინაარსის პოსტი გამოაქვეყნა. სახელისუფლებო სარედაქციო

[10] როგორც მეთოდოლოგიაშია მითითებული, სახელისფულებო ტელევიზია პოსტვის ფეისბუქ გვერდები, სადაც ვიდეოს გარდა, საინფორმაციო ბარათებიც ქვეყნდება, სოციალურ მედიას არის მიკუთვნებული.

პოლიტიკის მქონე მედიებიდან ყველაზე მცირე სექსისტური შინაარსის პოსტები TV Imedi-ის (4) და Newshub.ge-ის (3) ფეისბუქის გვერდებზე გამოვლინდა.

ტრადიციული მედიებიდან სექსისტური განცხადებების ნახევარზე მეტი (46) სეზონი ტვ-ს საავტორო გადაცემის წამყვან ნიკოლოზ მჟავანაძეს ეკუთვნის, რომელიც ქალებს უმეტესწილად მორალური კრიტეტიუმების ნიშნით ესხმოდა თავს (25) და მიზოგინიური განცხადებებით (11) გამოირჩეოდა. ეს მონაცემები შედარებით მცირე იყო გაზეთ "ასავალ დასავალის", კრემლისტური გამოცემა "საქართველო და მსოფლიოს" (6) და "ალტ-ინფოს" (1) მაუწყებლობაში. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ვინაიდან პარტია "კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო" აღნიშნული მედიისგან მკაფიოდ გამიჯნული არ არის, მონაცემების ალოკაცია პარტიული ნიშნით მოხდა და შესაბამისად, მედიაში სექსისტური განცხადების შეზღუდული რაოდენობა ამით აიხსნება.

აქვე აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური პარტიებიდან სექსისტური ენის წყარო სოციალურ და ტრადიციულ მედიაში ყველაზე ხშირად (23) "ალტ-ინფო კონსერვატიული მოძრაობის" წევრები იყვნენ. თუ სახელისუფლებო პარტია"ქართული ოცნებისა" (17) და მისი სატელიტი "ხალხის ძალის" (7) მონაცემებს დავაჯგუფებთ, დავინახავთ, რომ კრემლისტური და სახელისუფლებო პარტიების მონაცემები თითქმის თანაბარია.

საზოგადოების წარმომადგენლების მიერ სოციალურ და ტრადიციულ მედიაში გაკეთებული სექსისტური განცხადებებიდან (37), უმრავლესობა (22) მიზოგინიური შინაარსაა, რასაც მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა (10), გონებრივი შესაძლებლობებით დაცინვა (3) და ეიჯიზმი მოსდევს (2). რელიგიური ჯგუფების შემთხვევაში, პოსტების უმრავლესობა (11) აბორტის თემატიკას ეხებოდა, ხოლო ორგანიზნაციების მიერ გაკეთბული განცხადებები მიზოგიური შინარსის დისკრიმინაციასა (3) და ქალებზე მორალური კრიტერიუმებით (3) თავდასხმებს შორის თანაბრად გაიყო.

დიაგრამა 6. სექსისტური სიძულვილის ენის წყარობი და ტიპოლოგია



2.3 სექსისტური სიძულვილის ენის ადრესატები

წინასაარჩევნო მონიტორინგმა აჩვენა, რომ სექსისტური სიძულვილის ენის ადრესატები ყველაზე ხშირად ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომდგენლები (184) იყვნენ,

რასაც არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები (163) მოსდევს.

დიაგრამა 7. სექსისტური სიძულვილის ენის ადრესატი ქალები ინსტიტუციონალური და სხვა აფილიაციის მიხედვით



წინასაარჩევნო პერიოდისგან განსხვავებით, არჩევნების შემდეგ მეტად გააქტიურდა თავდასხმები იმ პოლიტიკოსებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებზე, რომლებიც არჩევნებზე გამოვლენილ დარღვევებზე აკეთებდნენ განცხადებებს. ტრადიციულ და სოციალურ მედიაში, პოლიტიკოსებიდან სექსისტური სიძულვილის ენა, ყველაზე ხშირად საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს (98) მიემართებოდა, რასაც "ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის" წევრი სოფო ჯაფარიძის (41), ამავე პარტიის თავმჯდომარის, თინა ბოკუჩავას (36), ანი წითლიძის (21) და ხატია დეკანოიძის (10) მიმართ გაკეთებული განცხადებები მოსდევს. ქალი პოლიტიკოსებიდან სამიზნე კოალიცია "ძლიერი საქართველოს" წევრი ანა დოლიძეც გახდა (29), რა დროსაც მისი გონებრივი შესაძლებლობის ეჭვქვეშ დაყენება ხდებოდა. სექსისტული სიძულვილის ენის ადრესატი პარტია "ფედერალისტების" დამფუძებელი თამარ ჩერგოლეიშვილიც (26) იყო, მის მიმართ გაკეთებული დისკრიმინაციული განცხადებები გარეგნული მახასიათებლებით, გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით დაცინვასა და სლატშეიმინგს აერთიანებდა. შედარებით მცირე იყო თავდასხმები პარტია "საქართველოსთვის" წევრი ნათია მეზვრიშვილის მიმართ, მის წინააღმდეგ ჯამში 9 განცხადება გაკეთდა.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ გაკეთებული გაცხადებების უმრავლესობა, ყოფილ სახალხო დამცველს, "საქართველოს ევროპული ორბიტის" დამფუძნებელ, ნინო ლომჯარიას (42); "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" დირექტორს ეკა გიგაურსა (22) და სამოქალაქო აქტივისტ ირმა გორდელაძეს (15) მიემართებოდა.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად საგრძლობლად გაიზარდა კრიტიკული მედიის ქალ ჟურნალისტებზე გენდერული ნიშნით თავდახხმები (89), საიდანაც ყველაზე ხშირი თავდასხმის სუბიექტები ნანუკა ჟორჟოლიანი (19), ეკა კვესიტაძე (18), ინგა გრიგოლია (14) და ვიკა ბუკია (13) იყვნენ.

წინა ანგარიშების მსგავსად, სექსისტური სიძულვილის ენის ადრესატი, ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებული პირები იყვნენ (38), რომელთა მიმართაც უმეტესწილად მრუშობით შერცხვენა გამოიყენებოდა. უცხოელი პოლიტიკოსების მიმართ გაკეთებული განცხადებების (13) დიდი ნაწილი (6) ევროპარლამენტარ მარკეტა გრეგოროვას წინააღმდეგ იყო მიმართული. იგი სამიზნე მას შემდეგ გახდა, რაც არჩევნებზე დაკვირვების შემდეგ, მის მიერ დაფიქსირებულ დარღვევებზე გააკეთა განცხადებები და საარჩევნო გარემო კრიტიკულად შეაფასა.

სექსისტური სიძულვილის ენის სამიზნე გახდა თეთრიწყაროს სასამართლოს მაგისტრი მოსამართლის, ვლადიმერ ხუჭუას მეუღლე ელზა გურგენიძე, არჩევნების პროცესში ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის შესახებ, მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილების[11] სოციალურ ქსელში მხარდაჭერის გამო.

დიაგრამა 11. სექსისტური სიძულვილის ენის ადრესატები (ყველაზე ხშირი შემთხვევები)



[11] რადიო თავისუფლება, 5 ნოემბერი -ვინ არის მოსამართლე ხუჭუა, რომელმაც არჩევნებზე ხმის ფარულობის დარღვევა დაადგინა https://bit.ly/4jWln1G

2.4 მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა

სამონიტორინგო მედიაში მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის 278 შემთხვევიდან, 219 სოციალურ, ხოლო 59 ტრადიციულ მედიაზე მოდის. სექსისტური სიძულვილის ენის გამოყენებისას, პოლიტიკოსი ქალები, ასევე სამოქალაქო აქტივისტები მოხსენიებულნი იყვნენ ისეთი ტერმინებით, როგორიცაა "დედალი ორჯონიკიძე",[12] "უსამშობლო აგენტი",[13] "5 მანეთიანი ჩური" [14] "გათახსირებული დედაკაცი,"[15] " "მსუბუქი ყოფაქცევის დედაკაცები"[16] და სხვა.

სლატშეიმინგი. სოციალური მედიაში მორალური კრიტერიუმებით თავდასმა ხშირად (95) სლატშიმინგის, ანუ მრუშობით შერცხვენის ხასიათს ატარებდა. პოლიტიკოსებისა და სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ სლატშეიმინგის შემცველ პოსტებს, ძირითადად სახელისუფლებო ანონონიმური გვერდები ავრცელებდნენ და უმეტეს შემთხვევაში ამ მიზნისთვის პროგრამულად დამუშავებულ ფოტოებსა და ვიდეოებს იყენებდნენ.

სლატშეიმინგის სამიზნე ყველაზე ხშირად "ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე თინა ბოკუჩავა, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია, ჟურნალისტი ინგა გრიგოლია იყვნენ.

12 ივლისს ფეისბუქ ანგარიშმა "სალომეს ფანჩატური",[17] რომელიც უმეტესწილად საქართველოს პრეზიდეტის მიმართ სექსისტური პოსტებით გამორჩეოდა, სალომე ზურაბიშვლის, საფრაგნეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთან შეხვედრის ვიდეოდან ფრაგმენტი გამოაქვეყნა, რომელსაც ინტიმური შინაარსის აუდიო ჰქონდა დართული. ვიდეოს თან ახლდა კომენტარი "დასთანხმდი მადამ?", რაც ორი ქვეყნის პრეზიდენტების დიპლომატიურ ურთიერთობებსს ინტიმურ ურთიერთობებად წარმოჩენას ისახავდა მიზნად. იმავე დღეს აღნიშნული ვიდეო ხელისუფლებასთან დაკავშირებულმა ფეისბუქ ანგარიშმა "მიხეილ განუბაჟებელი"[18] გააზიარა.

---

[12] მარშალპრესი, 3 ოქტომბერი; "დედალი ორჯონიკიძეა, ეს გენმოდიფიცირებული – ზურაბ ქადაგიძე სალომე ზურაბიშვილზე" https://mpn.ge/archives/55553

[13] ტერენტი გლდანელი, 13 სექტემბერი;https://bit.ly/42wm9wr

[14] მოგიტყანთ მოქალაქეთა კავშირი, 13 სექტემბერი; https://bit.ly/4lRdaxi

[15] 19 სექტემბერი, სეზონი ტვ, დღის შეჯამება; https://bit.ly/42R6ypY

[16] სეზონი ტვ, 21 ოქტომბერი; https://bit.ly/42IZe1b

[17] სალომეს ფანჩატური, 12 ივლისი; https://bit.ly/4lQ3UJV

[18] მიხეილ განუბაჟებელი, 12 ივლისი; https://bit.ly/4iVvGSR



თინა ბოკუჩავას მიმართ სლატშეიმინგის შემცველი პოსტები სხვადასხვა დროს ხელისუფლებასთან დაკავშირებულმა ანონიმურმა ფეისბუქ ანგარიშებმა გამოაქვეყნეს. 11 ივლისს ფეისბუქ ანგარიშმა "მიხეილ განუბაჟებელი"[19] გააზიარა ფოტო, წარწერით "თინა ბოკუჩავას გზა ნაცმოძრაობის თავჯდომარებამდე", გამოტანით "სად არის კოტიკო?". ფოტოს შინაარსი თინა ბოკუჩავას კარიერულ წინსვლას და ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის პოსტის დაკავებას, არა მის პროფესიონალურ საქმიანობას, არამედ მის ინტიმურ ურთიერთობებს უკავშირებდა. 6 სექტემბერს "Apolitical Page"-ზე[20] გამოქვეყნდა ვიდეო, სადაც ერთ-ერთ კადრში, თინა ბოკუჩავას ფოტოს, პორნოგრაფიული საიტის "Porn Hub" - ის ლოგო აქვს თანდართული.





[19] მიხეილ განუბაჟებელი, 11 ივლისი; https://bit.ly/44eQwsv
[20] Apolitical Page, 7 სექტემბერი; https://bit.ly/3YSh5jw

რიგ შემთხვევებში სხვადასხვა პოლიტიკოსების მიმართ სლატშეიმიგის მიზნით გამოყენებული ვიზუალური მასალები და სექსისტური ენა იდენტური იყო. მაგალითად, 11 ივლისს ფეისბუქ გვერდმა "სალომეს ფანჩატური"[21], პრეზიდენტის ფოტო, წარწერით "როცა ყველაფერი ყოფილს გახსენებს", გამოაქვეყნა. 22 ივლისს, იგივე წარწერით, "როცა ყველაფერი ყოფილს გახსენებს" ვიდეო გამოქვეყნდა ფეისბუქ გვერდზე "რეალობა"[22], სადაც თინა ბოკუჩავას ვიდეო, მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკავშილის კადრითაა გადაფარული.

მსგავსი იყო თინა ბოკუჩავასა და სალომე ზურაბიშვილის მიმართ მრუშობით შერცხვენის მცდელობის კიდევ ერთი ვიზუალი, როდესაც პორნოგრაფიული შინაარსის მიმს აღნიშნული პოლიტიკოსების ფოტოები დაურთეს. 30 ივლისს ფეისბუქ ანგარიშმა "მოგი***ნთ მოქალაქეთა კავშირი"[23] სექსუალური შინაარსით ცნობილი მიმის ვიზუალი გამოაქვეყნა, რომელზეც თინა ბოკუჩავას სახეა ჩამოტაჟებული, აღნიშნულ ფოტოს თან ახლდა წარწერა, "თინა ბოკუჩავა ამერიკაში "სამუშაო" ვიზიტით იმყოფება". იგივე მიმი, ფეისბუქ ანგარიშმა "ავლიპ დეფილერაძე"-მაც გამოაქვეყნა, სადაც პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვლი იგივე ფონზეა გამოსახული, ფოტოზე ასევე გარყვნილი ქმედებისთვის დაკავებული ამერიკელი რეპერი P.Diddy ჩანს და თან ახლავს კომენტარი - "26 ოქტომბერს ფარდა აეხდება ყველაფერს".

აღსანიშნავია, რომ პროგრამულად დამუშავებული ფოტოები მორალური კტირეტიუმებით თავდასხმის შემთხვევებშიც გამოიყენებოდა და სამიზნე ის პოლიტიკოსები თუ სამოქალაქო აქტივისტები ხდებოდნენ, ვინც მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით კრიტიკულ პოზიციებს გამოხატავდა.

ფეისბუქ ანგარიშმა "სოსო სევერსკიმ" 11 და 13 აგვისტოს სამოქალაქო აქტივისტ ირმა გორდელაძის დამუშავებული ფოტოები გამოაქყვეყნა, ერთი ფოტოში ის ლადო აფხაზავსთან ერთად ჩანს, წარწერით "წინასაარჩევნო ლიბერალური შეჯვარება

[21] სალომეს ფანჩატური, 11 ივლისი; https://bit.ly/42RaJSM
[22] რეალობა, 22 ივლისი; https://bit.ly/3EILSIQ
[23] მოგიტყანთ მოქალაქეთა კავშირი, 30 ივლისი; https://bit.ly/3RAxDc5

ჩანჩქერთან”[24], ხოლო მეორე ფოტოზე ირმა გორდელაძე, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და გიული ალასანია არიან გამოსახული, რუსული წარწერით “Старые Бляди”[25] (ბებერი ბოზები).

ანტისახელმწიფოებრივი/ანტიეროვნული/ანგარებიანი ქმედება. გარდა სლატშეიმინგისა, ქალ პოლიტიკოსებზე მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა მათი ანტისახელმწიფოებრივ ან მოღალატეობრივ ქმედებებში დადანაშაულების გზით ხდებოდა. აღნიშნული ბრალდებები წინასაარჩევნოდ პოლიტიკოსებს უცხო ქვეყნის ინტერების გატარებაში ადანაშაულებდა, ხოლო არჩევნების შემდეგ, საარჩევნო პროცესში დაფიქსირებული გადაცდომების ხაზგასმის გამო აკრიტიკებდა.

აღსანიშნავია, რომ თუ წინა წლებში ქალ პოლიტიკოსებს და სამოქალაქო აქტივისტებს ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში და ანტილიბერალური, ულტრამემარჯვენე, კონსერვატიული აქტორები ადანაშაულებდნენ[26] და მათ დასავლური კონსპირაციის აგენტებად განიხილავდნენ, ამჯერად მსგავსი ბრალდებების წყარო უმეტესწილად ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანონიმური ანგარიშები იყვენენ.

არჩევნებთან იყო დაკავშირებული 15 ნოემბერს, ფეისბუქ ანგარიშ “მიხეილ განუბაჟებლის” მიერ გამოქვეყნებული ფოტო შეხვედრიდან, სადაც საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, ნინო ლომჯარიასა და ეკა გიგაურთან ერთად არჩევნების დამკვირვებლებს, 26 ოქტომბერს დაფიქსირებული დარღვევების განსახილველად ხვდება. ფოტოს თან ახლდა აღწერა “კაბიანი სერგო ორჯონიკიძეები”[27]

[24] სოსო სევერსკი, 13 აგვისტო; https://bit.ly/3ESTXdY
[25] სოსო სევერსკი, 11 აგვისტო; https://bit.ly/3ESTXdY
[26] ანტიგენდერული და ანტი-ლგბტქი მობილიზება საქართველოში - 2023 - https://bit.ly/3SaETeQ
[27] მიხეილ განუბაჟებელი, 15 ნოემბერი; https://bit.ly/3YgCC5u

30 ნოემბერს Postv- ანალიტიკის[28] ფეისბუქ ანგარიშმა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის გამოსვლიდან ამოჭრილი ვიდეო ფრაგმენტი, სადაც ის ამბობს "აბა რა", გამოტანით "რეზიდენტის დღევადელი განცხადება" გააზიარა, რეზიდენტად მოიხსენია სალომე ზურაბიშვილი ხელისუფლებასთან დაკავშირებულმა ფეისბუქ ანგარიშმა "პოლიტიკოსები 1 ლარიდან",[29] რომელმაც სალომე ზურაბიშვილის განცხადებას თან შემდეგი გამოტანა დაურთო: "წარმავალი მადამ აბდაუბდა ანუ საქართველოს პ-რეზიდენტი დღევანდელ მოვლენებს სოციალურ ქსელში სტატუსით ეხმიანება".

მსგავსი შინაარსის განცხადებები საქართველოს პრეზიდენტის მისამართით ტრადიულ მედიაშიც გვხვდება.

> **ზურაბ ქადაგიძე, ხალხის ძალა:** „დედალი ორჯონიკიძეა, ეს [სალომე ზურაბიშვილი] გენმოდიფიცირებული!"[30]

[28] POSTV - ანალიტიკა, 30 ნოემბერი; https://bit.ly/3YktOeV
[29] პოლიტიკოსები 1 ლარიდან, 25 ნოემბერი; https://bit.ly/4lRUSMx
[30] მარშალპრესი, 3 ოქტომბერი, "დედალი ორჯონიკიძეა, ეს გენმოდიფიცირებული – ზურაბ ქადაგიძე სალომე ზურაბიშვილზე" https://bit.ly/4jA3buU

გია აბაშიძე, ანალიტიკოსი: „ამ ნამუსგარეცხილი პარიზელი „ხანუმას" წარუმატებლობას აგენტოკრატიაში კარგად ხედავენ და 26 ოქტომბერს, ქართველი ხალხის გამარჯვებისა და მისი ფორმალური ვადის ამოწურვის შემდეგ, სალომე ზურაბიშვილს მოისვრიან როგორც უსარგებლო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ნარჩენს."[31]

2.5 ანტიფემინიზმი / მიზოგინია

მონიტორინგის მიერ გამოვლენილი ანტიფემინისტური განცადებებიდან (143), 92 სოციალურ მედიაზე, ხოლო 51 ტრადიციულ მედიაზე მოდის. ანტიფემინისტური განცხადებების ნაწილი ოჯახში ძალადობის კანონს, ეხებოდა და ამკვიდრებდა აზრს, რომ აღნიშნული კანონმდებლობა მამაკაცების უსამართლო დაკავებას ემსახურებოდა.

ფემინიზმი, როგორც იდეოლოგია, წარმოჩენილი იყო, როგორც ტრადიციული ოჯახის დანგრევის მექანიზმი. კვოტირებასთან დაკავშირებული გზავნილები, - ერთის მხრივ, საქართველოს პარლამენტის მიერ, გენდერული კვოტირების შესახებ კანონმდებლობის გაუქმებას უკავშირდებოდა,[32] ნაწილი კი, კვოტირების საფრთხეების დემონსტრაციისთვის, დონალდ ტრამპზე თავდასხმის შემთხვევას იყენებდა და ამტკიცებდა, რომ თავდასხმისას სახელმწიფო დაცვის ქალი თანამშრომლები, მამაკაცების უკან იმალებოდნენ.

- **პარლამენტში კვოტირების შესასახებ კანონმდებლობა არაკომპეტენტური ქალი პოლიტიკოსების ჩართულობას უწყობდა ხელს**

თეა წულუკიანი, ქართული ოცნება: „თქვენ პირადად [ანა დოლიძე] პოლიტიკაში ემბრიონად თუ იყავით მხოლოდ ჩასახული, როცა ბიძინა ივანიშვილი ქალებს ნიშნავდა კანდიდატებად და თანამდებობებზე და შემოჰქონდა კვოტები. მაგრამ ვიღაც წითლიძეების, უმადური და უნიჭო პოლიტიკოსი კორძაიების, ლამაზი თინიკოების, ლუზერი სალომეების (ამჯერად დეპუტატკაზე ვამბობ) და ასეთი საოცრებების მოხილვის მერე, აღარც პოლიტიკაში ქალის მხარდაჭერა მოგინდება ადამიანს (ანუ კაცს) და აღარც კვოტის. ასეა ეს" [33]

თეა წულუკიანი, ქართული ოცნება: „..ცოტა ნორმალურები ვინც დარჩით მაქეთ მხარეს [ოპოზიციაში] ქალები, საქმეს მიხედეთ, რადგან ქართული ოცნების მიერ მოფიქრებული და შემოტანილი კვოტები აღარაა და ეგებ რამდენიმემ მაინც შეჰყოთ ლამაზი ცხვირები საკანონმდებლოში... ვაი იმ კვოტას, ვიღაც [ანა] წითლიძეს (შეიძლება გვარიც მეშლება)... რომ შეიყვანს პარლამენტში".

გენდერული კანონმდებლობის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონმდებლობის გაუქმება წინასაარჩევნო დაპირებად "პატრიოტთა ალიანსთან" პოლიტიკურ გაერთიანებაში მყოფი "ალტ ინფო-კონსერვატიული მოძრაობის" წევრების კამპანიის ნაწილი იყო.

---

[31] მარშალპრესი, 3 ოქტომბერი,"ზურაბიშვილმა უტიფრად თქვა, რომ ის ანტიქართული საგანი" https://bit.ly/3EOBHT2

[32] On.ge, 4 აპრილი, პარლამენტმა გენდერული კვოტები გააუქმა; https://bit.ly/4jW4jsx

[33] მარშალპრესი, 27 აგვისტო; "ვაი იმ კვოტას, ვიღაც წითლიძეს ან კიდევ დამჭნარ და მაინც მშვენიერ თაკოს რომ შეიყვანს პარლამენტში" – თეა წულუკიანი; https://bit.ly/3GrfjQ8

- **ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონი მამაკაცების უმიზეზოდ დაკავებას უწყობს ხელს**

შოთა მარტინენკო, კონსერვატიული მოძრაობა, პატრიოტთა ალიანსი: „ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით არანორმალურ კანონები მიიღეს. ძაან გამკაცრებული მიდგომებია და უბრალოდ ოჯახში ყვირილზე ადამიანებს ციხეში იჭერენ... ძალოვანი სტრუქტურების დაკომპლექტება უნდა ხდებოდეს პატრიოტი კონსერვატორი ხალხით...
რადიკალი ფემინისტი, რომ დანიშნო მოსამართლედ, მანდ, ხომ გასაგებია, რომ მისი მიკერძოება, რანაირი სისტემური შინაარსიც არ უნდა ჰქონდეს, ფემინისტურად განსჯის.“[34]

ლალი მოროშკინა, ძლიერი ქალი- ძლიერი სახელმწიფო: „საქართველოში, პირველ რიგში, ოჯახურ ძალადობაზე კანონი უნდა გაიწვიონ. გადატენილია ციხეები უდანაშაულო ბიჭებით. რამდენიმე დღის წინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებს, ყოფილ კოლეგებს შევხვდი და წუხილი გამოთქვეს - ისეთი ზრდილი და კარგი ბიჭები ტყუილად სხედან ციხეში, რომ გული გეტკინებაო....” [35]

- **ფემინიზმი როგორც იდეოლოგია, ოჯახის ინსტიტუტის განადგურებას ისახავს მიზნად**

შოთა მარტინენკო, კონსერვატიული მოძრაობა: “მიდის აგრესიული ფემინიზმის ქადაგება... ინერგება აღზრდის მეთოდები, სადაც გენდერული სტერეოტიპები, როგორც ისინი ეძახიან, გენდერული როლების გამოკვეთა, არ უნდა ხდებოდეს ბავშვებს შორის და ინერგება შეხედულება, რომ დიასახლისობა, დედობა, არის რაღაცა ისეთი წარუმატებელი ქალის მდგომარეობა და წარმატებული ქალი თუ უნდა იყოს, ის აუცილებლად უნდა მუშაობდეს, უნდა იყოს აუცილებლად დამოუკიდებელი ოჯახისგან, ქმრისგან, ფინანსურად და ყველანაირად, მათ შორის კანონი მას ზურგს უმაგრებს, რომ ყოველ ხმის აწევაზე ციხეში გაუშვას ქმარი - ეს შეუძლია და ამის საფუძველზე სათაკილო გახადეს დედობა.[36]

ზურა მახარაძე, კონსერვატიული მოძრაობა: ,,გარემო, სადაც ერი მრავლდება, არი შემდეგი გარემო - სადაც კაცი არი ოჯახის თავი და ქალის მთავარი ფუნქცია არი დედობა. აი, ეგეთი სოციუმი არი რომელიც მრავლდება და სადაც ეგეთი სოციუმი არ არი, არ მრავლდება... ძალა, რომელიც ფემინისტურ იდეოლოგიას ამოაგდებს განათლების სისტემიდან, სახელმწიფო სტრუქტურებიდან და სახელმწიფო სივრცე რასაც ეხება, ყველა იმიდან და ამ მოდელზე დაბრუნდება, ეგეთი ძალა თუ არ მოვიდა საქართველოში, ა, ეს დემოგრაფიული კრახი გაგრძელდება, ვინც არ უნდა მოვიდეს... აი, პატრიარქალური ოჯახი, რასაც ფემინისტები ებრძვიან, ერთადერთი წამალია დემოგრაფიის, მეტი არაფერი არ შველის მაგას."[37]

---

[34] ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 3 ოქტომბერი; https://bit.ly/434VbMv
[35] ასავალ-დასავალი, 12 – 18 აგვისტო
[36] ალტ-ინფო. ალტ-ანალიტიკა, 2 აგვისტო; https://bit.ly/4jy7pDk
[37] ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 13 სექტემბერი, https://bit.ly/42ym3EB

სოციალურ მედიაში ქალების წინააღმდეგ მიზოგინიური კამპანიებისთვის მიმები, დამუშავებული ვიდეობი და რილსები გამოიყენებოდა. პოლიტიკოსები, სამოქალაქო აქტივისტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები უმეტესწილად ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანონიმური ანგარიშების სამიზნე, მათი პოლიტიკური პოზიციის, წინასაარჩევნო კამპანიებისა და აქტივობების გამო ხდებოდნენ. რიგ შემთხვევებში, სახელისუფლებო ანგარიშების მიერ, ერთი და იგივე შინაასის პოსტები ორგანიზებულად ვრცელდებოდა.

ხელისუფლებასთან დაკავშირებულმა ანონიმურმა ანგარიშებმა "არ აგარევინებთ" და "სიმართლის დროა" "ერთიანობა ნაციონალური მოძრაობის" წევრების სოფო ჯაფარიძის, ანა წითლიძის, და თინა ბოკუჩავას წინააღმდეგ, ასევე პარტია "ლელოს" წევრის სალომე სამადაშვილისა და ყოფილი სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას წინააღმდეგ ერთი და იგივე ვიზუალი და მსგავსი ტექსტი ("როცა როგორც იქნა შენი ადგილი იპოვე"[38] და "მიაგნეს საკუთარ ადგილს" [39]) ერთი და იგივე დროს გამოაქვეყნეს.

29 აგვისტოს ხელისუფლებასთან დაკავშირებულმა გვერდმა "სირცხვილის კორიდორი" პარტია "საქართველოსთვის" წევრების თეონა აქუბარდია, ნათია მეზვრიშვილის ფოტოები, წარწერით "გახარიას მდედრიონი"[40] გამოაქვეყნა.

[38] არ აგარევინებთ, 22 ივლისი; https://bit.ly/4lQPBol
[39] სიმართლის დროა, 22 ივლისი; https://bit.ly/42wSQKc
[40] სირცხვილის კორიდორი, 29 აგვისტო; https://bit.ly/435hEJm

არჩევნების შემდეგ მიზოგინიური განცხადებების სამიზნეები ის ქალებიც იყვნენ, ვინც არჩევნებში დაფიქსირებულ დარღვევებზე საუბრობდა და საპროტესტო აქციებში მონაწილეობდა. ხელისუფლებასთან დაკავშირებულმა ანგარიშმა "მიხეილ განუბაჟებელი"[41] გამოაქვეყნა ფოტო, რომელშიც პროტესტის მონაწილეებს არჩევნებში ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის სიმბოლო, თეთრ ფონზე შავი წრე უჭირავთ ხელში. ფოტოს თან ახლდა წარწერა "დედამთილები პირველი ღამის შემდეგ". პროტესტის ამ ფორმაზე მოგვიანებით გავრცელდა მიზოგინიური შინაარსის დეზინფორმაცია, რომელიც მედიის განვითარების ფონდის "გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაცის" ანგარიშშია ხელმისაწვდომი .[42]

2.6 გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვა

მონიტორინგის პერიოდში გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვის 111 შემთხვევიდან 104 - სოციალურ მედიაში, ხოლო 7 ტრადიციულში გამოვლინდა. ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანონიმური გვერდების მიერ ქალებზე გარეგნული მახასიათებლებით თავდასხმის ადრესატები ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, სამოქალაქო აქტივისტები და ჟურნალისტები გახდნენ.

პოლიტიკოსებიდან გარენული მახასიათებლების ნიშნით დაცივნის ადრესატები კოალიცია "ძლიერი საქართველოს" წარმომადგენლები, ანა დოლიძე და ანა ნაცვლიშვილი იყვნენ. ფეისბუქ ანგარიშმა "მიხეილ განუბაჟებელი ანა დოლიძის ფოტოები წარწერით "მევახშის ღიპუცები"[43] და "ეს ასეთია თუ რამე ფილტრზე დაეჭირა"[44] გამოაქვეყნა. ანა ნაცვლიშვილის პარლამენტში გადაღებული ფოტო კი გამოტანით, "ლელოს ტანკისტი ქალი"[45] ფეისბუქ გვერმა Publicist-მა გააზიარა. [46]

[41] მიხეილ განუბაჟებელი, 13 ნოემბერი; https://bit.ly/3S8fFxI

[42] კინწურაშვილი თ, 2025. გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაცია. მედიის განვითარების ფონდი, https://bit.ly/4jvUIJ2

[43] მიხეილ განუბაჟებელი, 26 აგვისტო; https://bit.ly/435jutQ

[44] მიხეილ განუბაჟებელი, 22 აგვისტო; https://bit.ly/435jutQ

[45] publicist.ge, 17 აგვისტო; https://bit.ly/4jEW7gz

[46] publicist.ge, 17 აგვისტო; https://bit.ly/4jEW7gz

გარეგნული მახასიათებლებით დაცინვის ადრესატი “ ერთიანობა ნაციალონალური მოძრაობის” წევრები, ანი წითლიძე და სოფო ჯაფარიძეც იყვნენ. ფეისბუქ გვერდმა “Publicist”-ი ანი წითლიძის რამდენიმე ფოტო გამოაქვეყნა, მათ შორის ერთი მაიმუნის გვერდით წარწერით “ანი წითლიძე ჯუნგლებში,” ასევე ფოტო წარწერით “ანი წითლიძეს უშუალოდ შეეხნენ”.[47] ფეისბუქ ანგარიშმა “მიხეილ განუბაჟებელი” რამდენჯერმე გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც ჯუჯის სინდრომის მქონე მამაკაცი ცეკავავს, კადრებს კი ერთვის წარწერა “სოფოს წინასაარჩევნო კამპანია”[48] [“ერთიანობა ნაციონალური მოძრაობის” წევრი სოფო ჯაფარიძე].

წინასაარჩევნო პერიოდში, პოლიტიკური სუბიექტების მიერ კოალიციური საარჩევნო გეგმის გამოცხადება გარეგნული მახასითებლებით დაცინვის საბაბად იქცა. თუ წინა ანგარიშებში პოლიტიკური სუბიექტების სახის ვიზუალების ერთმანეთთან შერწყმა პოლიტიკოსების გენდერული როლების შეცვლას ემსახურებოდა, ამჯერად პროგრამულად დამუშავებული ვიზუალი პოლიტიკოსების თანამშრომლობის გაშარჟებას ისახავდა მიზნად. დამუშავებულ ფოტოებს, სადაც პოლიტიკური სუბიექტების ვიზუალი ერთმანეთთან იყო შერწყმული, ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანონიმური ანგარიშები, რიგ შემთხვევებში, კოორდინირებულად ავრცელებდნენ.

მაგალითად პარტია “დროას” ლიდერის ელენე ხოშტარიას და პარტია “ახალის” გაერთიანების შემდეგ სახელისუფლებო გვერდებმა გაავრცელეს დამუშავებული ფოტო, სადაც ელენე ხოშტარიასა და ნიკა გვარამიას გამოსახულებები გაერთიანებულია წარწერით “ლიაკა გვარამია.”[49]





[47] publicist.ge, 20 სექტემბერი; https://bit.ly/42GKI8A
[48] მიხეილ განუბაჟებელი, 27 აგვისტო; https://bit.ly/4lRa900
[49] არ აგარევინებთ, 25 სექტემბერი; https://bit.ly/4iHewrU

გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვის სამიზნე მმართველი პარტიის ქალი პოლიტიკოსებიც იყვნენ. ქართული ოცნების წევრების ნინო წილოსანისა და თეა წულუკიანის მიმართ გარეგნული მახასიათებლებით დამცინავი შინაარსის პოსტები ოპოზიციასთან დაკავშირებულმა ანგარიშებმა გამოაქვეყნეს.

26 ივლისს ოპოზიციასთან დაკავშირებულლმა ანგარიშმა "თანამოაზრეთა გაერთიანება - საქართველო"[50] თეა წულუკიანის ფოტო გარეგნული ნიშნით დამცინავი გამოტანით "ქართული ოცნების ქარიზმა, და ბიძინას სექსუალური აღგზნება ..." გამოაქვეყნა. 1 ნოემბერს ასევე ოპოზიციასთან დაკავშირებულმა ანგარიშმა "მე არ გავყიდე საქართველო"[51] ნინო წილოსანის პოსტზე გაკეთებული კომენტარის ფოტო გამოტანით "ბოტოქსა ნინა, ვინც შენ შეგიშოს ევროპაში...!" გააზიარა.





ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლებათან დაკავშირებული ანონიმური ანგარიშების მიერ ოპოზიციონერი ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ გამოქვეყნებული დისკრიმინაციული შინაარსის პოსტები საგრძნობლად აღემატებოდა "ქართული ოცნების" წევრების მიმართ გამოქვეყნებულ ანალოგიურ შინაარსს.

ჟურნალისტებიდან გარეგნული ნიშნით დისკრიმინაციის ადრესატები ყველაზე ხშირად TV Pirveli-ის წარმომდგენლები ხდებოდნენ. გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვის სამიზნეები ტელეკომპანია პირველის წამყვანი ვიკა ბუკია და ტელეკომპანია "მთავარის" წამყვანი ეკა კვესიტაძე იყვნენ, ვიკა ბუკიასთან ერთად კი ყოფილი სახალხო დამცველი ნინო ლომჯარიაც ფიგურირებდა. ფეისბუქ გვერდმა "მიხეილ განუბაჟებელი" ვიკა ბუკიასა და ნინო ლომჯარიას ფოტო ანიმაცია "შრეკის" კადრთან ერთად, წარწერით "შრეკთან ბოდიში"[52] გამოაქვეყნა, მსგავში შინაასის ფოტოკოლაჟი ფეისბუქ ანგარიშმა "ნაცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო" გააზიარა. ეკა კვესიტაძის ვიდეოდან აღებული ფრაგმენტი, ფეისუქ გვერდმა "პოლიტიკური საღორე #5", წარწერით "ასე გამოიყურება ბოღმისგან დამახინჯება"[53] გამოაქვეყნა.

[50] თანამოაზრეთა გაერთიანება საქართველო; https://bit.ly/44MfOhL
[51] მე არ გავყიდე საქართველო; https://bit.ly/4jvlC3V
[52] მიხეილ განუბაჟებელი, 29 ივლისი; https://bit.ly/4lWXvNk
[53] პოლიტიკური საღორე N5, 15 აგვისტო; https://bit.ly/42ynaUN



ეკა კვესიტაცის გარეგნული ნიშნით დამცინავი ფოტოები 16 ნოემბერს, სახელისუფლებო სარედქაციო პოლიტიკის Postv- ის ერთ-ერთმა ფეისბუქ ანგარიშმა და ხელისუფლებასთან დაკავშირებულმა გვერდმა "მიხეილ განუბჟებელი" ერთდროულად გამოაქვეყნეს. ფოტოზე ეკა კვესიტაძეს პერანგზე იღლიასთან ლაქა ჩანს. Postv- ის ანგარიშმა აღნიშნული ფოტო ეკა კვესიტაძის ციტატას "შავმა საღებავმა [გიორგი] კალანდარიშვილზეც გამოჟონა"[54] დაურთო თან, სადაც ჟურნალისტი არჩევნებში ხმის ფარულობის დარღვევის შესაძლო შემთხვევებთან დაკავშირებით, ცესკოს თავმჯდომარისთვის პროტესტის ნიშნად შავი საღებავის შესხმას ეხმაურებოდა. "მიხეილ განუბაჟებელმა" იგივე ფოტო წარწერით "ეკა გაჟონილი კვესიტაძე" გამოაქვეყნა.[55]



გარეგნულ მახასიათებლებთან ერთად, არმენოფობიული შინაარსის პოსტი გამოაქვეყნა ანგარიშმა "მიხეილ განუბაჟებელი",[56] სადაც ნინო ლომჯარიას პროგრამულად დამუშავებულ ფოტოზე, ცხვირის ფორმა აქვს შეცვლილი, ფოტოზე ტექსტად დატანილია, არმენოფობიული განწყობების გასაღვივებლად ხშირად გამოყებებული ტექნიკა, გვარის

[54] POSTV - ანალიტიკა, 16 ნოემბერი; https://bit.ly/42xrrrv
[55] მიხეილ განუბაჟებელი, 16 ნოემბერი; https://bit.ly/3EJtNdM

[56] მიხეილ განუბაჟებელი, 1 აგვისტო; https://bit.ly/3SgTUvz

დაბოლოების შეცვლა, რაც სომხური იდენტობის ნეგატიურ კონტესტში წარმოჩენას ისახავს მიზნად. პოსტს თან ახლავს გამოტანა “ცავატანემ”. იგივე ფოტო კომენტარის გარეშე ხელისუფლებასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ ანგარიშზე “მ****ნთ მოქალაქეთა კავშირი” გამოქვეყნდა. [57]

2.7 გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით დაცინვა

სოციალური მედიაში, გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით დაცინვის (98) ადრესატები, ყველაზე ხშირად პარტია “ფედერალისტების” დამფუძნებელი თამარ ჩერგოლეიშვილი, კოალიცია “ძლიერი საქართველოს” ერთ-ერთი ლიდერი, ანა დოლიძე და პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი იყვნენ. ხელისუფლებასთან დაკავშირებული ფეისბუქ ანგარიშების მხრიდან, გონებრივი შესაძლებლოებით დაცინვის ადრესატები, ასევე ხდებოდნენ ის ადამიანებიც, ვინც არჩევნებზე დაკვირვების პროცესში გამოვლენილ დარღვევებზე მიუთითებდნენ.

საქართველოს პრეზიდენტის მიმართ გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით დაცინვა მის საუბრის მანერასთან იყო დაკავშირებული. მსგავსი შინაასის რილსები გვერდებმა “არ აგარევინებთ”[58] “სიმართლის დროა”[59] და სალომეს ფანჩატური”[60] წარწერებით “ეს მაგარი გვყავს”, “ეს რა ჭირი გვჭირს” “ეს აქაიქა” გაავრცელეს.

[57] მოგიტყანთ მოქალაქეთა კავშირი, 23 ოქტომბერი; https://bit.ly/3GpBrdF
[58] არ აგარევინებთ, 22 აგვისტო; https://bit.ly/42RLakD
[59] სიმართლის დროა, 25 აგვისტო; https://bit.ly/4cSC9MR
[60] სალომეს ფანჩატური, 22 აგვისტო; https://bit.ly/3S95Z63



არჩევნებამდე სოციალურ მედიაში გონებრივი შესაძლებნობებით დამცინავი პოსტები თამარ ჩერგოლეიშვილის მიმართ სხვადასხვა ანგარიშებმა, “ავლიპი ზურაბაშვილი”,[61] “არ აგარევინებთ,”[62] “მიხეილ განუბაჟებელი”[63] და “რეალობა”[64] გამოაქვეყნეს. ფეისბუქ ანგარიშებზე იდენტური ვიდეოები გაზიარდა, სადაც აჩქარებულ ფორმატში, აქცენტი პოლიტიკოსის სახის გამომტყველებაზე კეთდებოდა და თან ახლდა კომენტარები: “მეზობელი პალატა” “გიშთამარა”, “არ გიკბენს, გეთამაშება”





არჩევნების პროცესში სავარაუდო დაღვევვების პროტესტთან იყო დაკავშირებული გონებრივი შესაძლებლობებით თავდასხმა “ძლერი საქართველოს” წარმომადგენელ ანა დოლიძესა და “ევროპული ორბიტის” დამფუძნებელ, ნინო ლომჯარიაზე.
12 ნოემბერს ფეისბუქ გვერდ Publicist-ზე[65] გამოქვეყნდა ანა დოლიძის ვიდეო, სადაც ის გზის გადაკეტვას ცდილობს, წარწერით “მოდით ჯერ ამას ვუმკურნალოთ”, ხოლო 15

[61] ავლიპი ზურაბაშვილი • Avlipi Zurabashvili, 1 აგვისტო; https://bit.ly/4jBJPpo
[62] არ აგარევინებთ, 5 აგვისტო; https://bit.ly/4jvW32w
[63] მიხეილ განუბაჟებელი, 3 აგვისტო; https://bit.ly/4iIcckl
[64] რეალობა, 5 აგვისტო; https://bit.ly/3RB385N
[65] publicist.ge, 12 ნოემბერი; https://bit.ly/44IYdHw

ნოემბერს გვერდმა “არ აგარევინებთ”, ასევე გამოაქვეყნა ანა დოლიძის კადრები აქციიდან წარწერით “მე ნაპოლეონი ვარ”. [66]

ფეისბუქ ანგარიშმა “სიმართლის დროა”,[67] 2 ნოემბერს ნინო ლომჯარიას ციტატა, სადაც ის არჩევნებზე გაყალბების შესაძლო სქემაზე საუბრობდა, წარწერით “მიეხმარეთ ამათ თვლაში” გამოაქვეყნა.





გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით დამცინავი შინაარსის პოსტები გვერდებმა “Aravin”[68] “მიხეილ განუბაჟებელი”[69] და “Publicist”-მა კოალიცია “ძლიერი საქართველოს” წევრის, ანა ნაცვლიშვილისა და “ნაციონალური მოძრაობის წევრის” ხატია დეკანოიძის წინააღმდეგაც გამოიყენეს. ხატია დეკაონიძის ვიდეოს ფრაგმენტს, რომელიც გვერდმა “Aravin” გააზიარა, თან ერთვოდა წარწერა “დებილი”, ხოლო ანა ნაცვლიშვილს ვიდეოს თან ახლდა ტექსტი “ასეთი ჭკვიანი რამდენი გყავთ ლელოში?”[70]

[66] არ აგარევინებთ, 15 ნოემბერი; https://bit.ly/3GpoNLZ
[67] სიმართლის დროა, 2 ნოემბერი; https://bit.ly/4lVr3uI
[68] Aravin, 21 აგვისტო; https://bit.ly/435kUVc
[69] მიხეილ განუბაჟებელი, 12 აგვისტო; https://bit.ly/4cX5FB4
[70] publicist.ge, 26 აგვისტო; https://bit.ly/4cQca8C

ტელეკომანია “პირველის” ჯურნალისტის, ნანუკა ჟორჟოლიანის წინააღმდეგ გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით დამცინავი ვიდეო გამოაქვეყნა ანგარიშმა “მიხეილ განუბაჟებელი,[71] სადაც ჟურნალისტის ინტერვიუდან ფრაგმენტს მოსდევს კადრი ფილმიდან, რომელშიც ერთ-ერთი პერსონაჟი აბობს, “აბა შენ იცი დებილო, ნაყინი არ დაგეწუწოს მუზეომში”.

2.8 გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა

სოციალურ მედიაში გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვის 23 შემთხვევდიდან 17 სოციალურ, ხოლო 6 ტრადიციულ მედიაში გამოვლინდა. გენდერული სტერეოტიპები სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელ ქალებს მათი გარეგნობისა და გამოხატვის ფორმებს, არასაკმარისი “ფემინურობის” მიზეზით უწუნებდა. წინა წლების მსგავსად, სოციალურ მედიაში გენდერული სტერეოტიპებით გაკიცვა უმეტესწილად ელენე ხოშტარიას მიმართ იყო გამოყენებული და მას გარეგნობის გამო “ვაჟკაცად” ან “ბიჭად” მოიხსენიებდა. წინაასარჩევნო პერიოდში მსგავში შინაარსის პოსტები ფეიბუქ გვერდმა “Publicist”-მა არაერთხელ გამოაქვეყნა.[72]

[71] მიხეილ განუბაჟებელი, 12 აგვისტო; https://bit.ly/4cX5FB4
[72] publicist.ge, 26 აგვისტო; https://bit.ly/42Vmk3q

გენდერული სტერეოტიპებიც გაკიცხვის სამიზნეები, არჩევნების შემდეგ დაწყებული უწყვეტი პროტეტის მონაწილეებიც გახდნენ. ხელისუფლებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ანგარიშები, აქციის მონაწილეებს გამოხატვის ფორმებს და ქმედებებს უწუნებდნენ. მსგავსი შინაასის პოსტები სხვადასხვა დროს გვერდებმა "სიმართლის დროა" და "Aravin" გამოტანით"ძველი ბიჭი გოგო აქციაზე"[73] და "ნაცი ქალის სახე"[74] გამოაქვეყნეს.





სექსუალურობაზე ხაზგასმა ქალი პოლიტიკოსების გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვის კიდევ ერთი მეთოდი იყო. რიგ შემთხვევებში ქალი პოლიტიკოსების პროგრამულად დამუშავებული ვიზუალის გამოქვეყნების გზით, მათი სექსუალურობის, მიმზიდველობის ან პირიქით არასექსუალურობის ხაზგასმა ხდებოდა.

მსგავსი ნიშნით დისკრიმინაციის სამიზნეები ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების "ნაციონალური მოძრაობის" და ფედერალისტების წარმომადგენლები გახდნენ. ფეისბუქ ანგარიშმა "სოსო სევერსკი" ვიდეო გამოქვეყნა, სადაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრის, ანა წითლიძის დამუშავებულ ფოტოს ერთვის წარწერა - "დასაოჯახებელია. გეძებს", ვიდეო კი შემდეგი კომენტარით არის გაზიარებული: "ეს თუ დააკმაყოფილე, ჩათვალე რომ სულთანივით იქნები!!!"[75] ამავე ანგარიშმა გაავრცელა პარტია "ფედერალისტების" ლიდერის თამარ ჩერგოლეიშვილის ვიდეო, სადაც პროგრამულად დამუშავებული ფოტო კომენტარით: "გიგა ბოკერიას მერლინ მონრო"[76] ჩანს. ანი წითლიძის სექსუალობაზე ხაზგასმის მიზნით კიდევ ერთი ფოტო ხელისუფლებასთან დაკავშირებულმა ფეისბუქ ანგარიშმა "Apolitical Page" გამოაქვეყნა. ფოტოს ერთვის სატირული შინაარსის კომენტარი:"Edison Research - ის კვლევების მიხედვით, ყველაზე სექსუალურ ქალ პოლიტიკოსებში ანი წითლიძე ლიდერობს"[77].

[73] სიმართლის დროა, 5 ნოემბერი; https://bit.ly/4jS9d9Q
[74] Aravin, 13 ნოემბერი; https://bit.ly/4jW76Sx
[75] სოსო სევერსკი, 19 აგვისტო
[76] სოსო სევერსკი, 9 სექტემბერი
[77] Apolitical Page, 9 აგვისტო

მსგავსი მეთოდი, გამოიყენა სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის ტელევიზიის ფეისბუქ გვერდმა, “Postv ანალიტიკამ” სამოქალაქო აქტივისტის ანანია გაჩეჩილაძის მიმართაც, რომელიც სამიზნე “უცხოური გავნენის აგენტების შესახებ კანონის” გამო საჯარო სივრცეში მმართველი პარტიის წევრის კრიტიკის გამო გახდა. 18 ივლისს, “Postv ანალიტიკის” ფეისბუქ გვერდმა ანანია გაჩეჩილაძის ფოტო წარწერით,[78] “მორიგი აღშფოთებული მოქალაქე” გამოაქვეყნა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფოტო პროგრამულად დამუშავებული არ არის, ის აქვიტივსტის სექსუალურობაზე ხასზმას ახდენს. აღნიშნული ფოტო, იდენტური ტექსტით, ფეისბუქ გვედმა “Publicist”- მა იმავე დღეს გააზიარა.[79] სექსუალობაზე ხაზგასმის გარდა, ფოტოზე თანდართული კომენტარი აქტივისტის მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვასაც ახდენდა. ხდებოდა იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ დეპუტატზე თავდამსხმელი ის ადამიანია, ვინც თავს “პრეზერვატივის შეფუთვაზე ქართველ მეფეებსა და წმინდანებს გამოსახავს”.



[78] POSTV - ანალიტიკა, 18 ივლისი
[79] publicist.ge, 18 ივლისი

2.9 ეიჯიზმი

ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევების უმრავლესობა (11) ტრადიციულ მედიაში გამოვლინდა და მათი ადრესატი უმეტეს შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი იყო, მას "ბებოდ", "დედაბერად" და "ბებერად" მოიხსენიედბნენ.

> **შალვა რამიშვილი, პოსტვ-ის წამყვანი:** „ეხლა, ეს დედაბერი [სალომე ზურაბიშვილი] უნდა მივიდეს აქციის ეპიცენტრში." [80]
>
> **გელა ზედელაშვილი, ასავალ-დასავალის ჟურნალისტი:** „ჯერ სად ხარ სალომე [ზურაბიშვილი] ბაბო... მაგ სასახლეში აღარაფერი გესაქმება, ნაცების ბუნაგად რომ გადააქციე, დროა, ჩასალაგებელი ჩაალაგო და აქედან მოძუძგო..." [81]
>
> **გოგა ხაინდრავა, რეჯისორი:** „ძალიან სახიფათო იქნება უახლოესი ორი თვე, სანამ ერთი ჭკუიდან გადასული ბებერი - ჯო ბაიდენი თეთრ სახლში იჯდება, ხოლო მეორე ჭკუიდან გადასული ბებერი - სალომე ზურაბიშვილი - ორბელიანების სასახლეში!"[82]

ერთი ეიჯისტური განცხადება ქართული ოცნების წევრს, თეა წულუკიანს ეუკთვნოდა და ის ოპოზიციონერ თაკო ჩარკვიანს მიემართებოდა.

> **თეა წულუკიანი, ქართული ოცნება:** „გამომრჩა: ანა ნაცვლიშვილი... კარგად კივილი სუქსესსფულნესობას როდი ნიშნავს პოლიტიკაში, თორემ სუ ზეწარმატებული იქნებოდა ჩვენი ვარდივით დამჭნარი და კვლავაც ლამაზი დიაცის უბე თაკო ჩარკვიანი.[83]

---

[80] პოსტვ, სამი და კო, 28 ნოემბერი; https://bit.ly/3RB7BW7
[81] ასავალ-დასავალი, 9 – 15 სექტემბერი
[82] ასავალ-დასავალი, 25 ნოემბერი - 1 დეკემბერი
[83] მარშალპრესი, 27 აგვისტო; https://bit.ly/3GrfjQ8

3. ჰომოფობია

3.1 ჰომოფობიური გზავნილების წყაროები

მონიტორინგის პერიოდში ტრადიციულ და სოციალურ მედიაში გამოვლენილი 870 ჰომოფობიური კომენტარიდან, 514 სოციალურ მედიაში, ხოლო 356 ტრადიციულში გავრცელდა. ჰომოფობიური ნიშნით დისკრიმინაციის წყარო ყველაზე ხშირად (41%) სოციალური მედია იყო, რასაც პოლიტიკოსები (28.2%) და ტრადიციული მედია (16.1 %) მოსდევს. თითქმის თანაბარი იყო სასულიერო პირებისა (6.0%) და საზოგადოების (5.6%) წარმომადგენელების მიერ გაკეთებული კომენტარები, ყველაზე მცირე კი - საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან გაკეთდა(3.1 %).

დიაგრამა 12. ჰომოფობიური გზავნილების წყაროები ტრადიციულ და სოციალურ მედიაში



ჰომოფობიური შინაარსის წყაროებში სახელისუფლებო მედიების სოციალური ანგარიშების აქტივობა (148) სექსისტურ შინაარსთან შედარებით უფრო მაღალია. ამ კატეგორიაში სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის Postv-სა TV Imedi-ის სოციალური მედიის გვერდებიც მოხვდა, სადაც უმეტესწილად ლგბტქი+ თემატიკის საფრთხის კონტექტში ჭარბი გაშუქებასა და პირადი ცხოვრების პოლიტიკური მიზნით ინსტრუმენტალიზაციის მაგალითებს ვხვდებით. სახელისუფლებო ტელევიზიების ფეისბუქ გვერდების გარდა, ამ მხირვ სახელისუფლებო ონლაინ მედიაც, კერძოდ, Publicist.ge და Newshub.ge -იც გამოირჩეოდნენ.

სახელისუფლებო მედიის ფეისბუქ გვერდებს, ჰომოფობიური შინაარსის პოსტების მხრივ თითქმის იდენტური მონაცემებით ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანონიმური ფეისბუქ ანგარიშები (86), პოლიტიკოსები (84) და ულტრამემარჯვენე კრემლისტური ჯგუფები (82) მოსდევენ.

დიაგრამა 13. ჰომოფობიური გზავნილების წყაროები სოციალურ მედიაში



ტრადიციული მედიით გაშუქებული 356 ჰომოფობიური განცხადებიდან, 161 პოლიტიკოსებს ეკუთვნით, რასაც მედია (140), საზოგადოების წარმომადგენლები (27) და საზოგადოებრივი ორგანიზაციები (22) მოსდევენ. სასულიერო პირებმა კი ჯამში 6 ჰომოფობიური განცხადება გააკეთეს.

დიაგრამა 14. ჰომოფობიური გზავნილების წყაროები და ტიპოლოგია ტრადიციულ მედიაში



პოლიტიკური პარტიებიის მიერ გაკეთებული (161) ჰომოფობიური შინაარსის განცხადებებიდან ყველაზე მეტი (76) “კონსერვატიულ მოძრაობა/ალტ-ინფოზე” მოდის. “ქართული ოცნების” წევრები ჰომოფობიის წყარო 42 შემთხვევაში, ხოლო ამ პარტიასთან დაკავშირებული “ხალხის ძალის” წარმომადგენლები 18 შემთხვევაში იყვნენ. შედარებით მცირე იყო “კონსერვატიულ მოძრაობა/ალტ-ინფოსთან” საარჩევნო ბლოკში მყოფი კრემლისტური პარტიის - “პატრიოტთა ალიანსის” (12) წევრების ჰომოფობიური განცხადებები.

დიაგრამა 15. ჰომოფობიური გზავნილების წყაროები - პოლიტიკოსები



ტრადიციული მედიებიდან ჰომოფობიის წყარო ყველაზე ხშირად (65) სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის Postv იყო, რომელსაც კრემლისტური სეზონი ტვ (46), და ანტიდასავლური სარედაქციო პოლიტიკის გაზეთი “ასავალ-დასავალი” (13) მოსდევს.

დიაგრამა 16. ჰომოფობიური გზავნილების წყაროები - მედიები

3.2 ჰომოფობიური გზავნილები

წინასაარჩევნო კონტექსტში, პროსახელისუფლებო ანგარიშები, პოლიტიკური პარტიებისა და მათი წარმომდგენლების და კანდიდატების თემთან დაკავშირების გზით, მათ დისკრედიტაციას ცდილობდნენ. ვრცელდებოდა კანდიდატების დამუშავებული ფოტოები ჰომოფობიური კონტექსტითა და მათ იდენტობასთან დაკავშირებული ინსინუაციებით (94), რომელთა ნაწილი გაყალბებული ვიზუალის, მათ შორის ხელოვნური ინტელექტით გენერირებულის, სახეს ატარებდა[84]. ტრადიციულ მედიაში ჰომოფობიური შინაარსის 80 კომენტარი/მასალა გავრცელდა. რიგ შემთხვევებში ოპოზიციური პარტიები ლგბტქი+ თემის უფლებების აღიარების გამო კრიტიკის ობიექტები იყვნენ. მკვიდრდებოდა აზრი, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ისინი საზოგადოებას მიუღებელ ღირებულელებს მოახვევდნენ თავს.

ე.წ. "ლგბტ პროპაგანდის" აკრძალვის მოთხოვნასთან დაკავშირებით 190 ჰომოფობიურ შინაარსის კომენტარი/მასალა (სოციალური - 84, ტრადიციული მედია - 106) გამოქვეყნდა.

[84] კინწურაშვილი თ, 2025. გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაცია. მედიის განვითარების ფონდი, https://bit.ly/4jvUIJ2

გზავნილების ნაწილი, ერთის მხრივ, “პროპაგანდის” აკრძალვას მოითხოვდა, ნაწილი კი საქართველოს პარლამენტის მიერ 17 სექტემბერს მიღებულ კანონს „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“,[85] რომელიც ლგბტქი+ თემის უფლებების შეზღუდვას ითვალისწინებს, დადებით კონტექსტში წარმოაჩენდა.

მონიტორინგის სუბიექტი ფეისბუქ ანგარიშები ხშირად ავრცელებდნენ ინფორმაციას (101), რომელიც იდენტობის საკითხებს საფრთხის კონტესტში წარმოაჩენდა.. ერთი მხრივ, ხდებოდა უცხო ქვეყნებში ლგბტქ+ თემის შემზღუდავი კანონმდებლობის პოზიტიურად, მეორე მხრივ, თემის უფლებების დამცავი კანონმდებლობისა და სხვადასხვა გადაწყვეტილებების ნეგატიური და ჭარბი გაშუქება. ასეთი მასალები ქართულ კონტექსტთან და კანონმდებლობასთან შეუსაბამო იყო და ამ საკითხების აქტუალიზაცია და დღის წესრიგში მთავარ თემად შემოტანა, ერთი მხრივ, ადგილობრივი პრობლემებიდან აქცენტის სხვა საკითხებზე გადატანას ისახავდა მიზნად, მეორე მხირვ, ანტიდასავლურ კონტექსტში იდენტობის დაკარგვის საფრთხის კულტივირებას.

ანტიდასავლური განწყობების მატარებელი იყო იდენტობასთან დაკავშირებული (62) იმ პოსტების შინაარსი, რომლებიც დასავლეთს ჰომოსექსუალობისა და გარყვნილების თავსმოხვევაში ადანაშაულებდა (26). ევროინტეგრაციის პროცესი უმეტესწილად ტრადიციული იდენტობის დაკარგვასთან იყო გაიგივებული (36). ტრადიციულ მედიაში მსგავსი განცხადებების სრული ანალიზი წარმოდგენილია მედიის განვითარების ფონდის კვლევაში “ანტიდასავლური პროპაგანდა და დეზინფორმაცია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე”[86]

გზავნილების ნაწილი 2024 წლის პარიზის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიას ეხმაურებოდა, სადაც როგორც სოციალურ (51), ისევე ტრადიციულ (30) მედიაში, ოლიმპიადის ორგანიზატორებს ლგბტქი+ პროპაგანდასა და რელიგიური გრძნობების შურაცხყოფაში ადანაშაულებდნენ. გზავნილების ნაწილი ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაში ტრანსგენდერი ქალების და ზოგადად ოლიმპიურ თამაშებში ტრანსგენდერი ადამიანების მონაწილეობას ნეგატიურად აფასებდა.

კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიების ფეისბუქ გვერდებზე გამოიკვეთა, საქართველოში დემოკრატიის უკუსვლაზე ევროპელი პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული განხადებების საპასუხოდ მათი პირადი ცხოვრების ინსტრუმენტალიზაციაა (36).

ჰომოსექსეულობა ავადმყოფობად, ცოდვად ან გარყვნილებად თითქმის თანაბრად იყო წარმოჩენილი როგორც სოციალურ - (26), ასევე ტრადიციულ (25) მედიებში, ხოლო თემის ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვის მოთხოვნა სოციალურ მედიაში 12-ჯერ, ტრადიციულში კი 23 ჯერ დაფიქსირდა.

როგორც ტრადიციულ მედიაში (19), ასვე სოციალურში (7) მკვიდრდებოდა გზავნილი, რომ ტრადიციული იდენტობის შენარჩუნებისა და ლგბტქი+ პროპაგანდის ასაკრძალად

[85] რადიო თავისულება, 17 სექტემბერი პარლამენტმა ლგბტ უფლებების შემზღუდავი კანონპროექტი მესამე, საბოლოო მოსმენით მიიღო, https://bit.ly/3ECgf3N

[86] მედიის განვითარების ფონდი, 2024. ანტიდასავლური პროპაგანდა და დეზინფორმაცია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე” https://bit.ly/3YSp686

“ქართულ ოცნებას” არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება ესაჭიროებოდა.

პოლიტიკოსების მიერ გაკეთებულ ჰომოფობიურ განცხადებებში “ლგბტ პროპაგანდის” აკრძალვის აუცილებლობის ხაზგასმასთან ერთად, “ქართული ოცნების” მიერ მიღებული კანონი “ოჯახური ღირებულებების და არასრულწლოვნების დაცვის” შესახებ დადებითად ფასდებოდა, ოპოზიციური პარტიების თემთან დაკავშირებით მათი დისკრედიტაცის მცდელობას ჰქონდა ადგილი, ხოლო ტრადიციული იდენტობის შენარჩუნებისა და “პროპაგანდის” სამუდამოდ აკრძალვის მიზნით არჩევნებში “ქართული ოცნებისთვის” საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების აუცილებლობა იყო ხაზგასმული.

დიაგრამა 17. ჰომოფობიური გზავნილები სოციალურ მედიაში



3.3 იდენტობის საკითხების საფრთხის კონტესტში გაშუქება / ლგბტქი+ არარელევანტური - ჭარბი გაშუქება

იდენტობის საკითხების საფრთხის კონტექსტში ჭარბი გაშუქება ყველაზე ხშირად (34) Postv- ზე გვხვდებოდა და დასავლურ ქვეყნებში ლგბტქი+ თემის უფლებების არსებობას საფრთხის კონტექსტში განიხილავდა. ერთის მხრივ, ხდებოდა სხვადასხვა ქვეყნებში თემთან დაკავშირებული ისეთი საკითხების მედიაში აქტუალიზაცია, რომლებიც ქართული რეალობისთვის არარელევანტურია, მეორეს მხრივ კი, სხვადასხვა ქვეყნებში თემის უფლებების შეზღუდვის პრეცედენტების პოზიტიურად შეფასება.

მსგავსი ტენდენცია ფიქსირდებოდა Newshub- ის, TV Imedi და Postv- სხვადასხვა სოციალური მედიის ანგარიშებზეც. რიგ შემთხვევაში, აღნიშნული ფეისბუქ გვერდები იდენტური ვიზუალითა და ტექსტით ავრცელებენ პოსტებს. მაგალითად 7 სექტემბერს, TV Imedi-ის[87] PosTV-ის[88], Newshub-ისა[89] და Publicist - ის[90] ფეისბუქ ანგარიშებმა გაავრცელეს ინფორმაცია ირლანდიაში დაპატიმრებულ მასწავლებელზე, რომელმაც ტრანსგენდერ მოსწავლეს შესაბამისი ნაცვალსახელით არ მიმართა.



[87] TV Imedi, 7 სექტემბერი, https://bit.ly/3EK2C2m
[88] POSTV - ახალი ამბები, 7 სექტემბერი, https://bit.ly/3GptrJV
[89] Newshub.ge - ნიუსჰაბი, 7 სექტემბერი, https://bit.ly/42RXukO
[90] publicist.ge, 7 სექტემბერი, https://bit.ly/42RXvVU

1 ივლისს ფეისბუქ ანაგარიშებმა Postv - ახალი ამბები[91] და Newshub- მა [92]გამოაქვეყნეს ინფორმაცია ლატვიაში პირველი გეი წყვილის ურთიერთობების დაკანონების შესახებ.

3.4 პოლიტიკური პარტიების კანდიდატების ლგბტქი+ თემთან დაკავშირება

ტრადიციულ მედიაში პოლიტიკური პარტიების თემთან ლგბტქი+ დაკავშირება (84), ერთის მხრივ, მათი დისკრედიტაციის მიზნით ხდებოდა, გზავნილების ნაწილი კი ამკვიდრებდა აზრს, რომ თემის მხარდამჭერი პარტიების გამარჯვება არჩევნებში საქართველოს მოსახლეობისთვის მიუღებელ საკანონმდებლო ცვლილებებს და თემის გაძლიერებას გამოიწვევდა.

წინასაარჩევნო პერიოდში, "ქართული ოცნების" სხვა პარტიებზე "უპირატესობის" ხაზგასმა, ტრადიციულ მედიაში ოპოზიციური პარტიების მიერ ლგბტქი+ თემის უფლებების დაცვისა და მათი თემთან დაკავშირებით ხდებოდა.

> **ირაკლი კობახიძე, ქართული ოცნება:** ''[პარლამენტში ოპოზიციის] ბოიკოტის მთავარი მიზეზი არის სწორედ ეს კანონპროექტი, მათ არ სურთ, მხარი დაუჭირონ კანონპროექტს, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყანაში ლგბტ პროპაგანდას. მათ აქვთ დაკვეთა, რომ ასეთ კანონს მხარი არ დაუჭირონ, მათ პირიქით ხელი უნდა შეუწყონ ფსევდოლიბერალურ პროპაგანდას. ჩვენთვის ეს არის კატეგორიულად მიუღებელი, სწორედ ამიტომ ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე, რომ ეს არჩევნები არის რეფერენდუმი და ეს არის რეფერენდუმი მათ შორის იმასთან დაკავშირებით, თუ რას აირჩევს ქართული საზოგადოება, აირჩევს ამ ფსევდოლიბერალურ პროპაგანდას, ლგბტ პროპაგანდას, თუ აირჩევს ტრადიციულ ფასეულობებს. რადიკალური ოპოზიციის მხარეს არის ფსევდოლიბერალური პროპაგანდა და

[91] POSTV - ახალი ამბები, 1 ივლისი, https://bit.ly/4iFB24p
[92] Newshub.ge - ნიუსჰაბი, 1 ივლისი, https://bit.ly/3S8QbAb

ჩვენ, „ქართული ოცნება“ და ჩვენი მხარდამჭერები ვირჩევთ ტრადიციულ ფასეულობებს.” [93]

დავით ქართველიშვილი, ხალხის ძალა: „ჩვენ მაინც „დავააფდეიტოთ" პერიოდულად ნაცსექტის საარჩევნო პროგრამა... სექტის [ნაციონალური მოძრაობის] ხელისუფლებაში მოსვლისთანავე: ...დაკანონებული იქნება არასრულწლოვანთა მიერ სქესის შეცვლის უფლება, ერთნაირსქესიანთა ქორწინება და მათ მიერ ბავშვთა აყვანის შესაძლებლობა".[94]

სოციალურ მედიაში (94) პროსახელისუფლებო ანგარიშები პოლიტიკოსების დისკრედიტაციის მიზნით მათ რედაქტირებულ ვიდეობს და ფოტოებს ჰომოფობიური კონტექსითა და იდენტობასთან დაკავშირებული ინსინუაციებით ავრცელებდნენ. ფეისბუქ ანგარიშმა “მიხეილ განუბაჟებელი” პარტია “ახალის” წევრებზე გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც პარტიის ლიდერების ნიკა მელიას და ნიკა გვარამიას ვიდეო წარწერით “როგორ დაითანხმეს მელია”[95] ვრცელდება და ინტიმური კონოტაცია აქვს. მსგავსი შინაასრის ვიდეოები ფეისუქ ანგარიშებმა “რეალობა”[96] და “ბრძენი კრიტიკოსი”[97] გამოაქვეყნეს, სადაც ნიკა გვარამიას ინტერვიუდან ფრაგმენტი, როცა ის მისი მეუღლის გაცნობაზე საუბრობს იმგვარადაა დამონტაჟებული, რომ ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს მისი პარტიის წევრ ნიკა მელიას გაცნობის ისტორიას ჰყვება.



მსგავსი ტენდენცია გამოვლინდა კოალიცია “ძლიერი საქართველოს” ლიდერების მამუკა ხაზარაძისა და ალეკო ელისაშვილის შემთხვევაშიც, ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანგარიში, “მიხეილ განუბაჟებელი” აღნიშნულ პოლიტიკოსებზეც აქცვეყნებდა ინტიმური შინაარსის ფოტომანიპულაციებს.[98]

---

[93] მარშალპრესი, 6 სექტემბერი, “რადიკალური ოპოზიციის მხარეს არის ფსევდოლიბერალური პროპაგანდა, ჩვენ, „ქართული ოცნება“ და ჩვენი მხარდამჭერები ვირჩევთ ტრადიციულ ფასეულობებს” https://bit.ly/4lYgOpt

[94] მარშალპრესი, 7 სექტემბერი,ნაცსექტის საარჩევნო პროგრამა იმდენად მაზალოა, თავად რომ შეგვახსენონ – მორცხვად უტყდებათ https://bit.ly/4cVmyMn

[95] მიხეილ განუბაჟებელი, 11 ივლისი;https://bit.ly/42UYFQx

[96] რეალობა, 6 აგვისტო; https://bit.ly/4keb21l

[97] ბრძენი კრიტიკოსი, 6 აგვისტო; https://bit.ly/4lRz43E

[98] მიხეილ განუბაჟებელი, 23 სექტემბერი; https://bit.ly/3GAMtgd
მიხეილ განუბაჟებელი, 26 სექტემბერი; https://bit.ly/42GfQGL







ჰომოფობიური შინაარსის პოსტების სამიზნეები გარდა პოლიტიკოსებისა, სამოქალაქო აქტივისტებიც გახდნენ. ფეისბუქ ანგარიშმა "Publicist"-მა, 20 სექტემბერს გამოაქვეყნა ვიზუალი, რომელიც ადრეც აქტიურად ვრცელდებოდა. დამუშავებულ ფოტოს,[99] სადაც პარტია "მოქალაქეების" ლიდერის ალეკო ელისაშვილსა და პარტია "ახალის" წარმომადგენელ ნიკა მელიასთან ერთად სამოქალაქო აქტივისტი გიგა მაქარაშვილი და ტვ ფორმულას ერთ-ერთი დამფუძნებელი მიშა მშვილდაძე არიან გამოსახული, თან ახლავს წარწერა "გეი რევოლუცია გვიახლოვდება".

3.5 ანტიდემოკრატიული და უფლებების წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობა და ჰომოფობიური, ანტიდასავლური გზავნილები

ორი საკანონმდებლო ცვლილება, რომელსაც მმართველი პარტია და სახელისუფლებო მედია ჰომოფობიურ და ანტიდასავლურ კონტექსტში განიხილავდა, უფლებების

მიხეილ განუბაჟებელი, 13 აგვისტო; https://bit.ly/42YqQ0W
მიხეილ განუბაჟებელი, 9 ოქტომბერი; https://bit.ly/4iO9ZUC

[99] publicist.ge, 20 სექტემბერი; https://bit.ly/42PCwmv

შემზღუდავ წინასაარჩევნო საკანონმდებლო ინიციატივას და არასამთავრობოების წინააღმდეგ მიმართულ ანტიდემოკრატიულ კანონებს შეეხებოდა.

ე.წ. გეი პროპაგანდის აკრძალვასთან დაკავშირებული გზავნილები (ტრადიციული მედია - 106; სოციალური მედია - 84) "ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვნების დაცვის შესახებ" კანონის ინიცირებამდე, ლგბტქი+ თემის უფლებრივი საკითხების საჯაროდ განხილვას ნეგატიურად აფასებდა და საკნონმდებლო შეზღუდვების აუცილებლობაზე საუბრობდა. მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა 17 სექტემბერს აღნიშნული კანონი[100] მესამე მოსმენით მიიღო, ამ კანონის დადებითად შეფასება ხდებოდა.

მმართველი პარტია "ქართული ოცნება" ჰომოფობიურ რიტორიკას წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილადაც იყენებდა და ე.წ. "გეი პროპაგანდის" აკრძალვის მიზნით არჩევნებში საკონსტიტიუციო უმრავლესობით გამარჯვების აუცილებლობაზე აპელირებდა. ამასთანავე სახელისუფლებო პროპაგანდა მცდარი დილემის ტექნიკას იყენებდა, რომელიც ამომრჩეველს არჩევანაის გაკეთებას ოჯახურ ღირებულებებსა და "ლგბტ პროპაგანდას", ეკლესიის პატივისცემასა და გმობას შორის სთავაზობდა.

> **ბიძინა ივანიშვილი, ქართული ოცნება:** „საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შემდეგ „ქართული ოცნება" მიიღებს კონსტიტუციურ კანონს „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ", რომელიც ლგბტ-პროპაგანდასა და ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის სხვა გამოვლინებებს დაუპირისპირდება.
> საქართველოში კონსტიტუციის დონეზე აიკრძალება ერთნაირსქესიანთა ეგრეთწოდებული სამოქალაქო პარტნიორობა, ლგბტ-წყვილის მიერ შვილის აყვანა, სქესის შეცვლის ოპერაციების ჩატარება, მედიაში თუ სკოლებში ლგბტ-პროპაგანდის წარმოება და სხვა."[101]
>
> **შალვა პაპუაშვილი, ქართული ოცნება:** „26 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა იმდენად მძლავრად უნდა თქვას, რომ ირჩევს მშვიდობას და არა - ომს, ოჯახურ ღირებულებებს და არა - ლგბტ პროპაგანდას, სარწმუნოების პატივისცემას და არა - ეკლესიის გმობას, რომ ვერავინ გაბედოს არჩეულ ხელისუფლებასთან ქართველი ხალხის სახელით საუბარი."[102]
>
> **ირაკლი კობახიძე, ქართული ოცნება:** „...[გეი] პროპაგანდა არის მიუღებელი და ის კანონპროექტი, რომელიც დაინიცირდა, ეხება სწორედ პროპაგანდას".[103]
> **მამუკა მდინარაძე, ქართული ოცნება**: „დღეს შევძელით ის, რომ ელგებეტე პროპაგანდის წინააღმდეგ კანონი დაგვენიცირებინა, რასაც მაგალითად ოთხი წლის წინ ვერ გავიტანდით. ოთხი და ხუთი წლის წინ ეს გამოიწვევდა იმხელა

[100] რადიო თავისუფლება, 17 სექტემბერი პარლამენტმა ლგბტ უფლებების შემზღუდავი კანონპროექტი მესამე, საბოლოო მოსმენით მიიღო, https://bit.ly/3ECgf3N

[101] ასავალ-დასავალი, 26 აგვისტო - 1 სექტემბერი, მარშალპრესი, 21 აგვისტო; საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შემდეგ, „ქართული ოცნება" მიიღებს კანონს „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ", რომელიც ლგბტ-პროპაგანდას და ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის სხვა გამოვლინებებს დაუპირისპირდება; https://bit.ly/3GqXhhb

[102] ასავალ-დასავალი, 2 – 8 სექტემბერი

[103] პოსტვ, ლიბერალიზმის ანატომია, 19 სექტემბერი; https://bit.ly/4jQME5t

ტურბულენტობას, არადა ეროვნული საქმეა, ხო?! არადა სულიერი გადარჩენის საქმეში არის ერთ-ერთი წინ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი."[104]

აღსანიშნავია, რომ სახელისუფლებო სარდაქციო პოლიტიკის მქონე TV Imedi როგორც ე.წ. "გეი პროპაგანდის" ამკრძალავი, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების შემზღუდავი ანტიდემოკრატიული კანონის მიმართ დასავლური ინსტიტუტების კრიტიკას სუვერენულ საკითხებში ჩარევად, "ქართულ ოცნებაზე" ზეწოლად და ტრადიციული ღირებულებების დათმობის მცდელობად აფასებდა

საბა ხვიჩია, იმედის ჟურნალიტსი: „შანტაჟის ენით ნათქვამი პირობები ევროპარლამენტის ტრიბუნიდან გაისმა - საქართველოს მთავრობამ ღირებულებებზე თურმე უარი უნდა თქვას, თუ სურს, რომ ევროინტეგრაციის გზაზე დაბრკოლებები მოიხსნას. გაფართოების საკითხებში მომავალმა ევროკომისარმა მათრახის და თაფლაკვერის პოლიტიკას მიმართა და საქართველოს ხელისუფლებას ისიც შემოუთვალა, რომ თუ გამჭვირვალობის და ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის კანონებს გააუქმებს, ფინანსური დახმარების პაკეტიც მზად არის". [105]

მაგდა ანიკაშვილი, იმედიLIVE წამყანი: "გრძელდება რადიკალების აქტიური საარჩევნო კამპანია საზღვარგარეთ, ევროპარლამენტში, სადაც ოპოზიციის მორიგი მაშველი რგოლი მიიღეს რეზოლუციის სახით. უცხოელმა პოლიტიკოსებმა ამჯერად 3 "კეთილი სურვილი" ჩაიფიქრეს: სანქციები ბიძინა ივანიშვილისთვის, თავისუფლება მიხეილ სააკაშვილისთვის და უვიზო მიმოსვლის შეჩერება ქართველი ხალხისთვის. გარდა ამისა, დაჟინებით მოგვიწოდებენ, ეკონომიკური სანქციები დავუწესოთ რუსეთის ფედერაციას, აღშფოთებულები არიან ოჯახური ღირებულებების და არასრულწლოვანთა დაცვის კანონის გამო. არჩევნსების წინ სუვერენული სახელმწიფოს შიდა საქმეებში უხეში ფორმით ჩარევა რომ მიუღებელი და ძალიან არაევროპული ქცევაა, რეზოლუციის ავტორებს და მხარდამჭერებს კოლეგებმა მიუთითეს..."[106]

ირაკლი ჩიხლაძე, იმედის კვირის წამყვანი: „თავდასხმა ღირებულებებზე, რომლის დაცვაც ასე ანერვიულებთ და აშინებთ ე.წ. მეგობრებს და მათი დავალებების უსიტყვო შემსრულებლებს რადიკალურ ოპოზიციაში. ფაქტია, ქართული ოცნების მიერ მიღებული 2 კანონს პლიუს ეროვნული პოზიცია, რომ ჩვენი ქვეყანა აღიქვან თანასწორად დასავლელი ბიუროკრატებისთვის აქილევსის ქუსლად იქცა და ვაჭრობის სხვა მასშტაბებზე გადავიდნენ - თუ გაიწვევთ კანონებს, ანუ თუ არ აიკრძალება ლგბტ პროპაგანდა და ნჯო სექტორის ფინანსებიც გაუმჭვირვალე იქნება, არჩევნების ლეგიტიმაციაზე კითხვები აღარავის ექნება, მეტიც, ქვეყნები მილოცვების და შედეგების აღიარების რიგშიც ჩადგებიან, ვიზალიბერალიზაციით შანტაჟი შეწყდება, იქნება დიდი ფინანსური მხარდაჭერაც". [107]

---

[104] იმედი, იმედი LIVE, 17 ივლისი; https://bit.ly/4cPBhIF

[105] იმედი, იმედის კვირა, 10 ნოემბერი, https://bit.ly/3RGfMR4

[106] იმედი, იმედიLIVE, 9 ოქტომბერი, https://bit.ly/4jXq7nN

[107] იმედი, იმედის კვირა, 10 ნოემბერი, https://bit.ly/3GwagxU

კანონმდებლობის გარდა, ანტიდასავლური გზავნილები იდენტობის დაკარგვის საფრთხესთან იყო გაიგივებული (62). მკვიდრდებოდა აზრი, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია ტრადიციული ღირებულებების დაკარგვის გარეშე შეუძლებელი იყო. ამ გზავნილს ყველაზე ხშირად ხელისუფლების მხარდამჭერი ორგანიზაცია "ერთიანი ნეიტრალური საქართველო" ამკვიდრებდა, რომელიც წინასაარჩევნოდ შეიქმნა. მათ განცხადებებს კი საინფორმაციო ბარათების საშუალებით სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის TV Imedi; Postv; და Newshub ფეისბუქზე ინტენსიურად აშუქებდნენ.

3.6 ოლიმპიადასათან დაკავშირებული გზავნილები

ოლიმპიადასთან დაკავშირებული გზავნილები (81), უმეტესწილად ტრანსგენდერი ქალების მიმართ ტრანსფობიური შინაარსის იყო და ამკვიდრებდა აზრს, რომ სპორტში ტრანსგენდერი ადამიანების მონაწილეობა მიუღებელია. გზავნილების ნაწილი ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიასთან იყო დაკავშირებული, სადაც ჰომოფობიული განცხადებები ტრანსგენდერი ქალის მიერ ჩირაღდნის გადაცემასა და

ცერემონიის გახსნის ერთ-ერთი სცენას მოჰყვა, რომელიც აღქმული იყო როგორც ლგბტქი+ ადამიანების მიერ საიდუმლო სერობის ინსცენირება და გაშარჟება.[108] [109]



> **პოსტ TV-ს ჟურნალისტი:** „[პარიზის] ოლიმპიადის გახსნაზე ლგბტ ფერადებმა საიდუმლო სერობის პაროდია შემოგვთავაზეს, სადაც ქრისტეს ადგილას ტრანსი დგას. შემდეგ ვერავინ დაადგინა ალჟირელი ბოქსიორი მაინც ქალია, თუ საბოლოოდ კაცი... როგორც კი პარაოლიმპიელების ფოტოები გამოქვეყნდა, ხმაურიც თავიდან დაიწყო. კაცი ტრანსგენდერი [ვალენტინა პეტრილო] ქალ შშმ პირებს აბუჩად იგდებს - ისევ აღშფოთდა ყველა, ვინც ანატომიას აღიარებს და ამიტომაც სქესს გენიტალიების მიხედვით ადგენს, ვინც ქრისტიანულ რწმენას პატივს სცემს, ამიტომაც ოჯახი ქალისა და კაცის კავშირად მიაჩნია.“[110]

ოლიმპიადასათან იყო დაკავშირებული საფრანგეთის პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადების მანიპულაციურად გაშუქების ერთი შემთხვევა. 28 ივლისს Postv-ის[111] და Publicist-ის[112] ფეისბუქ ანგარიშებმა გამოაქვეყნეს ემანუელ მაკრონის ფოტო წარწერით: “მაკრონის მიერ შეცვლილი ფრანგული ნაციონალური დევიზი, თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა, პრაიდი”. 27 ივლისს ემანუელ მაკრონმა საკუთარ X- ის ანგარიშზე გამოაქვეყნა პოსტი “Liberté, Égalité, Fraternité. Fierté.” საფრანგეთის ნაციონალურ დევიზს “თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა” საფრანგეთის პრეზიდენტმა კიდევ ერთი სიტყვა, “Fierté” დაურთო, რომელიც ქართულად ითარგმნება, როგორც სიამაყე, ხოლო ინგლისურად სიტყვა სიამაყე ითარგმება, როგორც პრაიდი”.

---

[108] ეროვნული ტელევიზია დიდგორი TV, 23 ივლისი; https://bit.ly/448jWbM
[109] Apolitical Page, 17 აგვისტო; https://bit.ly/4lPfx3F
[110] პოსტ TV, ლიბერალიზმის ანატომია, 28 აგვისტო, https://bit.ly/4m90YIL
[111] POSTV - ანალიტიკა, 28 ივლისი; https://bit.ly/42yXPKs
[112] publicist.ge, 29 ივლისი; https://bit.ly/437ogqA

სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედია საშუალებებმა, აღნიშნული სიტყვის ქართული შესატყვისის - სიამაყის ნაცვლად, თავიანთ საინფორმაციო ბარათებზე “Fierté”-ს ფრანგულიდან ინგლისუენოვან თარგმანში “პრაიდი” გამოიყენეს, რომელიც საქართველოში და საერთაშორისოდ ლგბტქი+ თემის დღის აღნიშვნას უკავშირდება.



3.7 პირადი ცხოვრების ინსტრუმენტალიზაცია პოლიტიკური მიზნით

სოციალური მედიის მონიტორინგმა გამოავლინა ახალი ტენდედენცია, რომელიც იმ დასავლელი პოლიტოკსების პირადი ცხოვრების ინსტრუმენტალიზაციას ახდენდა, ვინც დემოკრატიული უკუსვლის გამო საქართველოს ხელისუფლების ქმედებების კრიტიკულად აფასებდა. სახელისუფლებო მედიის ფეისბუქ გვერდები, აღნიშული პოლიტიკოსების განცხადებებს უმეტესწილად მათი პირადი ცხოვრების საჯაროდ ხელმისაწვდომ ისეთ ფოტოებს ურთავდენენ თან, რომლებიც არც განცხადების შინაარსთან, არც მიმდინარე მოვლენებთან კავშირში არ იყო. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც კრიტიკული განცხადებების ავტორების პოლიტიკურ შეფასებებს ან მათი პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოები ერთვის, ან თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით ამ პირების სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის ვიზუალი. აღნიშნული ტიპის დისკრიმინაციის სამიზნე ყველაზე ხშირად გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმთა კომიტეტის თავმჯდომარე, მიხეილ როთი იყო, რომლის შემთხვევაში ძირითადად მისი ქორწინების ან ლგბტქ სიმბოლიკის შემცველი ფოტოები გამოიყენებოდა..[113]

[113] TV Imedi, 12 ნოემბერი; https://bit.ly/4iDt37V

მიხეილ როთის შემთხვევის გარდა, სახელისუფლებო მედია კამპანიურად აშუქებდა ისეთ თემებს, რომლებსაც ქართულ კონტექსტში საინფორმაციო ღირებულება ნაკლებად ჰქონდა. მაგალითად, სახელისუფლებო მედიის ფეისბუქ გვერდებმა იდენტური ტექსტით გააშუქეს გაერთიანებული სამეფოს შეარაღებული ძალების მინისტრის, ლუკ პოლარდის პარტნიორ მამაკაცზე ქორწინების შესახებ ინფორმაცია. საინფორმაციო ბარათებზე პოლიტიკოსოსის ქორწინების ფოტო იყო გამოსახული და სამივე შემთხვევაში, იდენტურ ტექსტს "ბრიტანელი დეპუტატი დაქორწინდა", თან ახლდა პოლიტიკოსისი ციტატა "ბედნიერი კაცი ვარ იმის გამო, რომ შემიძლია მას ჩემი ქმარი ვუწოდო". [114] [115] [116]



3.8 ძალადობის წახალისება - ჰომოსექსუალობის ცოდვად /ავადმყოფობად / გარყვნილებად შეფასება

ჰომოსექსულობის ცოდვად, ავადმყოფობად ან გარყვნილებად შეფასება სხვადასხვა ფეისბუქ პლატფორმების მიერ, 51 შემთხვევაში მოხდა. აღნიშნულ გზავნილებში

[114] TV Imedi, 2 სექტემბრი; https://bit.ly/4d2xCaD
[115] POSTV - ახალი ამბები, 2 სექტემბერი;https://bit.ly/4cPBADj
[116] Newshub.ge - ნიუსჰაბი, 2 სექტემბერი; https://bit.ly/44eZ8iP

ლბგტქი+ თემის წევრებიდან ყველაზე ხშირი თავდასხმა ტრანგერდერ ქალებზე ხდებოდა, რაც 18 სექტემბერს თბილსში ტრანსგენდერი ქალი, კესარია აბრარმიძის მკვლელობასთან იყო დაკავშირებული. მსხვერპლ ქალს, სიკვდილის შემდეგ სხვადახვა ულტრამემარჯვენე, ანტილიბერალური და კონსერვატიული პრატფორმები ესხმოდნენ თავს. ერთ შემთხვევაში თავდასხმის სამიზნე ის ადამიანებიც გახდნენ, ვინც მოკლული ტრანსგენდერის მიმართ სოლიდარობა დაკრძალვაზე დასწრებით გამოხატეს.

23 სექტემბერს ფეისბუქ ანგარიშმა Publicist-ი გამოაქვეყნა პოსტი წარწეით "კესარიას "ბესოს" მგლოვიარე ელიტა", რომელზეც საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, ყოფილი ომბუდსმენი უჩა ნანუაშვილი, და ჟურნალისტი ინგა გრიგოლია იყვნენ ასახული[117]

ულტრამემარჯვენე, კრემლისტური ჯგუფები კესარია აბრამიას მიმართ ჩადენილი ძალადობის გამართლებას ახდენდნენ:

> **ზურა მახარაძე, კონსერვატიული მოძრაობა, პატრიოტთა ალიანსი:** „[კესარია] გეი-ტრანსი მოკლა მეორე გეიმ და ესენი დარბიან და ჰომოფობიის ბრალიაო... ჰომოფობიის ბრალი, კი არა ჰომოფილიის ბრალია. ანუ ის, რომ ეხლა მენტალურად არ იყო ჯანმრთელი ის ადამიანი და ეს მეორეც ეხლა მაგასთან, რომ იყო, ეგეც არ იყო მენტალურად ჯანმრთელი, ორი მენტალურად არაჯანმრთელი ადამიანის ერთად ყოფნამ გამოიწვია, ბოლოს ერთმა მეორე მოკლა."[118]
>
> **ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი ტვ-ის წამყვანი:** „ეს ქალბატონი [კესარია აბრამიძე], გასაგებია ეხლა, სისხლის სამართლის დამნაშავე არ ყოფილა, მაგრამ ცოდვაში იყო, ეს ქალი ცოდვაში იყო, და მე ამიტომაც ვერ ვიტყვი, რო ეხლა ღმერთო

[117] publicist.ge, 23 სექტემბერი; https://bit.ly/42NrFts
[118] ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 19 სექტემბერი; https://bit.ly/3Sh01Qx

ნათელში ამყოფე-მეთქი. რანაირად უნდა ვთქვა ეგ რო ნათელში ამყოფე, როდესაც თვითონ ცოდვაში იყო და ღმერთო, რა ვიცი, მივუტევე მას თავისი ცოდვები“.[119]

ტრანსგენდერი ქალის მკველელობასთან იყო დაკავშირებული სხვადასხვა წყაროების მიერ, ზოგადად ლგბტქი+ თემის მიმართ ძალადობის წამახალისებელი თუ გამამართლებელი განცხადებები, რომლებიც უმეტესწილად ტრადიციული მედიის საშუალებით ვრცელდებოდა (27).

გრიშა ონიანი, საზოგადოება სტალინი: „რაც მალე ამოწყდებით [საუბარია ლგბტქია+ ადამიანებზე], რაც უფრო მე მალე გასუფთავდება რესპუბლიკა ამ უბედურებისაგან, ხომ უფრო მეტად დაისვენებს ქვეყანა და ამოისუნთქებს კაცო“.[120]

შოთა მარტინენკო, კონსერვატიული მოძრაობა: „რატომ არის არანორმალური ჰომოსექსუალობა?... ეგ არის პერვერსია, ეგ არი დარღვევა. მაგის ახსნა ის მიუხედავად, თუ ვინმე მაინც ამბობს, რომ მაგის განურჩევლად ეს არი პერვერსია, დარღვევა და რაღაცა, მე მაქვს უფლება ბავშვს უხსნა, რომ ის პიდარასტობა არის ნორმალური და რაღაცა, ეგ უბრალოდ არ იღებს ცალსახად დამტკიცება არგუმენტებს და მაგას უბრალოდ ძალით უნდა დაურეგულიროთ ნორმალური გარემო... ისედაც ძალით რეგულირდება.“[121]

3.9 საპროტესტო აქციების ლგბტქი+ თემთან დაკავშირება

მონიტორინგის პერიოდში, როგორც არჩევნებამდე, ასევე არჩევნების შემდეგ გამართული საპროტესტო აქციების ლგბტქი+ თემთან დაკავავშირებით სხვადასხვა წყაროები პოლიტიკური საკითხებიდან აქცენტის უფლებრივ საკითხებზე გადატანას ცდილობდნენ, რაც მიზანმიმართული დეზინფორმაციის გავრცელებაშიც გამოვლინდა, როდესაც გაყალბებული ვიზუალითა და მანიპულაციით პროტესტის ლგბტქ+ თემთან დაკავშირება ხდებოდა. [122] პროდასავლური კურსის, ევროიტნეგრაციის მხარდამჭერი აქციების არჩევნებამდე, ხოლო არჩევნების შემდეგ უწვყეტი აქციების ორგანიზების თემთან დაკავშირება ამ აქციების მოთხოვნებისა და მიზნების არსაწორად რეპრეზენტაციას ისახავდა მიზად.

20 ოქტომბერს, წინასაარჩევნოდ პროევროპული მარშის გაშუქებისას, ხელისუფლებასთან დაკავშირებული მედიების ფეიბუქ გვერდები ამ მსვლელობას მოიხსენიებდნენ როგორც “პრაიდს” და “რადიკალური ოპოზიციის პრაიდს”[123]. საკუთარ ფეისბუქ ანგარიშზე, ქართულიოცნების დეპუტატმა, გრეტა წიწავამ, პროევროპული მარში ასევე “პრაიდან”- ად (აღნიშნული ტერმინი “პრაიდისა” და “მაიდანის” გაერთიანებით, საპროტესტო აქციებისა უკრაინაში “მაიდანის” რევოლუციას შორის პარალელის გავლებას ემსახურებოდა) შეაფასა, რაც Postv- ახალი ამბების გვერდმა უცვლელად გააზიარა[124].

---

[119] სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 19 სექტემბერი, https://bit.ly/44eZiGX
[120] სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 19 სექტემბერი, https://bit.ly/3SgZPRj
[121] ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 1 აგვისტო https://bit.ly/3S9ci9J
[122] კინწურაშვილი თ, 2025. გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაცია. მედიის განვითარების ფონდი, https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/263
[123] POSTV - ახალი ამბები, 20 ოქტომბერი, https://bit.ly/3ELRty7
[124] POSTV - ახალი ამბები, 20 ოქტომბერი, https://bit.ly/42Pmfhr





რიგ შემთხვევაში ხელისუფლებასთან დაკავშირებული მედიების ფეისბუქ ანგარიშები, საპროტესტო აქციების მიზნების არასწორი რეპრეზენტაციის მცდელობებს, აქციებში ლგბტქი+ ადამიანების გამოხატვის თავისუფლების უფლების სარგებლობის ფაქტითა და აქციებში მონაწილეობით ამყარებდნენ. 20 ოქტომბერს, პროევროპული მარშის გაშუქებისას "Postv- ანალიტიკის"[125] და "Publicist.ge" -ს[126] ფეიბუქ ანაგარიშებმა, ანალოგიური ტექსტითა და ვიზუალით, საპროტესტო აქციებში ტრანსგენდერი ქალების მონაწილეობას გაუსვეს ხაზი.



[125] POSTV - ანალიტიკა, 20 ოქტომბერი, https://bit.ly/4jWcEMR
[126] Publicist.ge, 20 ოქტომბერი, https://bit.ly/3S8Q2g6

ლგბტქი+ თემის წარმომადგენლების საპროტესტო აქციებში მონაწილეობასთან დაკავშირებით ვიდეო, TV Imedis -ის[127] Newshub- ის[128] სოციალურმა გვერდებმაც გამოაქვეყნეს.



აქციების თემთან დაკავშირების მიზნით, გვერდებმა "რეალობა" და "სირცხვილის კორიდორი", მსახიობების კახა კინწურაშვილისა და თორნიკე გოგრიჭიანის კოცნის სცენა გამოაქვეყნეს, აღნიშნული ფოტო 2022 წელს მსახიობების მიერ სპექტაკლ დემონებში როლების შესრულებისას არის გადაღებული და არ უკავშიდება მათ იდენტობას. თეატრის მსახიობების ნაწილი საპროტესპტო აქციების პარალელურად გაიფიცა, სწორედ ამ გაფიცვის დისკტედიტაციის მცდელობა იყო "სირცხვილის კორიდორის"[129] და "რეალობის" [130] მიერ სპექტაკლის სცენიდან მონაკვეთის გამოქვეყნების მიზანი.

[127] TV Imedi, 2 დეკემბერი, https://bit.ly/3YnMGts
[128] Newshub, 2 დეკემბერი,https://bit.ly/3YgMbkU
[129] სირცხვილის კორიდორი, 5 დეკემბერი, https://bit.ly/4jyf7gK
[130] რეალობა, 5 დეკემბერი, https://bit.ly/3Sh0S3H